



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ქრისტინე კარაპეტიანი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო  
შემოსავლების ფორმირების სრულყოფის გზები

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოც.პროფ. მიხეილ ჩიკვილაძე

თბილისი 2019

## ანოტაცია

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, საქართველოში არსებული საბიუჯეტო სისტემის შესწავლა-ანალიზის საფუძველზე, მისი ფორმირების და ფუნქციონირების შემდგომი სრულყოფისათვის საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, ასევე გადასახადების დინამიკის და მათი სტრუქტურის ანალიზი და ამ მიმართულებით არსებული ხარვეზების დაძლევის გზების წარმოჩენა.

საქართველოში საბიუჯეტო სფეროში, წლების მანძილზე დაგროვილმა პრობლემებმა, განსაკუთრებული სიმწვავეთ იჩინა თავი, თანამედროვე ეკონომიკური გამოწვევების ფონზე. აღნიშნულიდან გამომდინარე დღეისათვის, სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნება და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა წარმოადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის ფინანსური რესურსების მობილიზაციის მთავარი ინსტრუმენტია, რომლის ეფექტიან ფუნქციონირებაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთლიანად საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირება. ბოლო დროს საქართველოში საკმაოდ რთული გახდა ისეთი საბიუჯეტო სისტემის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს მასზე დაკისრებული ამოცანების სრულფასოვან შესრულებას. სწორედ ამან და მსგავსმა პრობლემამ განაპირობა ჩემი დაინტერესება აღნიშნული საკითხით და გადამაწყვეტინა სამაგისტრო თემად ამერჩია: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფორმირების სრულყოფის გზები“. მოცემულ ნაშრომში განხილული მაქვს საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები- პირდაპირი და არაპირდაპირი, მათი შესრულების დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში. ასევე განხილული მაქვს 2018 და 2019 წლის ბიუჯეტის შესრულება, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები და მათი ზეგავლენა საბიუჯეტო სისტემაზე. წარმოდგენილ ნაშრომში ასევე გაანალიზებულია ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების სტრუქტურა და კლასიფიკაცია, მათი შესრულების მაჩვენებლები, ბიუჯეტის დეფიციტი და ასევე სახელმწიფო ვალის დინამიკა ბოლო

წლების განმავლობაში. გაანალიზებული მაქვს ევროპის სხვადასხვა ქვეყნების საგადასახადო განაკვეთები და ისინი შედარებულია საქართველოს მაჩვენებლებთან.

დასკვნის სახით წარმოდგენელია ჩემ მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები და წინადადებები და მათი რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები, როგორცაა: ძლიერი და ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შექმნა, ქვეყანაში საინვესტიციო ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა და სხვა.

# The ways of improving Georgia state budget tax revenues formation

## Annotation

The goal of this master's paper is to develop proposals and recommendations for further development of Georgia budget system formation and functioning, based on its analysis, also the goal is to show tax dynamics and their structure, and the ways to overcome defects in this direction.

In Georgia budget sphere the problems accumulated over the years have been exacerbated by modern economic challenges. From this point of view, one of the most important tasks of our country is the preservation of the stability of the country's economy and the future prospects of its development. The state budget is the main instrument for mobilizing financial resources of the country, on which the efficient functioning of the entire budget system is dependent on. In recent times in Georgia, it has become quite difficult to form a budget system that ensures full implementation of the tasks imposed on it. These and other similar problems have caused my interest in this issue and made me choose my master's paper topic: "The ways of improving Georgia state budget tax revenues formation". In this paper, I have analyzed the general taxes of Georgia - direct and indirect, dynamics of their performance in recent years. I have also discussed the performance of the 2018 and 2019 budget, changes and their impact on the budget system. The paper also analyzes the structure and classification of budget revenues and expenditures, their performance, budget deficit and also the dynamics of the public debt in recent years. I have also analyzed tax rates in different countries of Europe and their comparison to Georgia's indicators.

In conclusion, the recommendations and proposals suggested by me and the expected results of their realization are: strong and effective tax system creation, improvement of investment business environment in the country, budget tax revenues increase and etc.

**Student:** Kristine Karapetiani

## შინაარსი

შესავალი .....	6
<b>თავი I. საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები (პირდაპირი გადასახადები) .....</b>	<b>9</b>
1.1 საშემოსავლო გადასახადი .....	9
1.2 მოგების გადასახადი .....	15
1.3 ქონების გადასახადი .....	18
<b>თავი II. საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები( არაპირდაპირი გადასახადები). .....</b>	<b>22</b>
2.1. დამატებული ღირებულების გადასახადი .....	22
2.2. აქციზის გადასახადი .....	26
2.3. იმპორტის გადასახადი.....	32
2.4 საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები....	35
<b>თავი III. სახელმწიფო ბიუჯეტის კლასიფიკაცია .....</b>	<b>39</b>
3.1. ბიუჯეტის შემოსავლების კლასიფიკაცია .....	39
3.2. ბიუჯეტის ხარჯების კლასიფიკაცია .....	44
3.3 ქვეყნის ძირითადი საბიუჯეტო და მაკროეკონომიკური პარამეტრები.....	51
3.4 ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალის დინამიკა საქართველოში .....	63
3.5 საჯარო ფინანსების ხარჯების ეკონომიკური შინაარსი .....	69
<b>თავი IV. საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო განაკვეთების შედარებითი ანალიზი .....</b>	<b>75</b>
დასკვნები და წინადადებები .....	80
გამოყენებული ლიტერატურა .....	82

## შესავალი

**კვლევითი პროექტის აქტუალობა:** სახელმწიფოს ფორმირებისა და განვითარების ეკონომიკური საფუძველია ფინანსური რესურსები, რომლებიც ძირითადად გადასახადებითა და მათი სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდით ფორმირდება. ქვეყნის ეკონომიკური სისტემის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკასა და საგადასახადო სისტემის სრულყოფილ მუშაობაზე. საქართველოში საბიუჯეტო სფეროში, წლების მანძილზე დაგროვილმა პრობლემებმა, განსაკუთრებული სიმწვავეით იჩინა თავი, თანამედროვე ეკონომიკური გამოწვევებისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე. აღნიშნულიდან გამომდინარე დღეისათვის, სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნება და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა წარმოადგენს. გადასახადები სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. გადასახადებთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის არის და რჩება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკვანძო საკითხად. ნებისმიერი ქვეყნის მიზანია შექმნას ისეთი მოქნილი და მიზანდასახული საგადასახადო სისტემა, რომელიც ადვილად შეეწყობა ცვალებად ეკონომიკურ სიტუაციას და დროის კონკრეტულ მონაკვეთში ქვეყნის ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების ხასიათის გათვალისწინება შეეძლება. როგორც ცნობილია, ამოღებული გადასახადების მოცულობა და სტრუქტურა პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის უნარზე შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები. ცნობილია ისიც, რომ გადასახადი ის ფასია, რომელსაც ცივილიზებული საზოგადოებისთვის ვიხდით. საზოგადოება ვერ იარსებებს გადასახადების გარეშე. საზოგადოება სახელმწიფოსგან გარკვეული მომსახურების უზრუნველყოფას ელის, როგორცაა ინფრასტრუქტურა, პოლიცია, სახელმწიფო თავდაცვა, ჯანდაცვა და სხვა. ამ საზოგადოებრივი მომსახურებისთვის კი საჭიროა საგადასახადო შემოსავალი. გადასახადები ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტია, ისინი მრავალფეროვნად მოქმედებენ ჩვენს ცხოვრებაზე. გადასახადების ეკონომიკურ არსს, ფუნქციას, დაბეგვრის პრინციპებსა და მექანიზმს

შეეხება კლასიკური ნაშრომები ა.სმიტის, დ.რიკარდოს, ა.ვაგნერის, ა.ლაფერის, ნ.ტურგენევის, უ.პეტის, ჯ.მ. კეინსის, პ.სამუელსონის, მ.ფრიდმანის და სხვათა. საბჭოთა კავშირის დაშლისა და შემდგომ პერიოდში, დამოუკიდებელ საქართველოში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ყურადღება საგადასახადო სისტემისა და დაბეგვრის პრობლემის მიმართ. დღესაც მიმდინარეობს თეორიული კვლევები, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ როგორც მეცნიერ-თეორიტიკოსები, ისე პრაქტიკოსი სპეციალისტები. საგადასახადო დაბეგვრის პრობლემებს ეძღვნება ნაშრომები თანამემამულე და უცხოელი ავტორებისა, როგორცაა აკადემიკოსები ა.სილაგამე, ვ.პაპავა, პროფესორები ი.მესხია, რ.კაკულია, მ.ჩიკვილაძე, თ.დვალი და სხვ.

**წარმოდგენილი კვლევითი პროექტის მიზანია** საქართველოში არსებული პირდაპირი და ირიბი გადასახადების დინამიკის და მათი სტრუქტურის, როლისა და მნიშვნელობის ანალიზი და ამ მიმართულებით არსებული ხარვეზების დაძლევის გზების წარმოჩენა.

**კვლევითი პროექტის საგანია** საქართველოში არსებული პირდაპირი და ირიბი გადასახადები, მათი არსი, ელემენტები, მნიშვნელობა და დინამიკა 2015-2019 წლებში. განხილული მაქვს საგადასახადო შემოსავლების მოცულობისა და საბიუჯეტო შემოსავლებში მათი ხვედრითი წილის ანალიზი დინამიკაში.

**კვლევითი პროექტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია** როგორც ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსთა ფუნდამენტური გამოკვლევები, ასევე თანამედროვე გამოჩენილ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები. კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, პუბლიკაციები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, საგადასახადო კოდექსი, აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული დასკვნები და ა.შ.

### კვლევის მეცნიერული სიახლე:

- ჩატარებული ანალიზის შედეგად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს საგადასახადო განაკვეთების დიფერენცირება ეკონომიკური საქმიანობის ცალკეული სახეობების, დარგებისა და სფეროების ჭრილში, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს მოახდინოს ცალკეული პრიორიტეტების განსაზღვრა და ამ პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის შეღავათიანი საგადასახადო განაკვეთებით დაბეგრა, მაგალითად: მანქანათმშენებლობა, ქვანახშირის მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა.
- საზღვარგარეთის ქვეყნებში საშემოსავლო გადასახადის მოქმედი განაკვეთების და დაბეგრის მეთოდების გაანალიზების შედეგად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს საქართველოში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის დიფერენცირება დასაბეგრი შემოსავლის ოდენობის მიხედვით, ხოლო დაბეგრის მეთოდად შერჩეული იქნეს პროგრესული მეთოდი.
- გადასახადის კეთილსინდისიერად გადახდის მოტივაციის ამაღლების კუთხით მეწარმეთა საგადასახადო ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების შემოთავაზება.

**კვლევითი პროექტის სტრუქტურა:** კვლევითი პროექტი შედგება შესავლისაგან, 4 თავისგან, 12 ქვეთავისგან და მოიცავს 83 გვერდს. ნაშრომს თან ერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

# თავი I. საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები (პირდაპირი გადასახადები)

## 1.1 საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადი- საერთო-სახელმწიფოებრივი პირდაპირი გადასახადია ფიზიკური პირის მიერ მიღებულ შემოსავლებზე. საშემოსავლო გადასახადის გადამხდელებია(სუბიექტები) - საქართველოს მოქალაქეები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები:

- რეზიდენტი ფიზიკური პირი
- არარეზიდენტი ფიზიკური პირი

საქართველოს რეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება ქვეყნის ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნემისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს. საქართველოს საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება როგორც კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლის შემოსავალსა და ამ პერიოდისთვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობა. ერთობლივ შემოსავალში შედის: ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები. ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები იყოფა ორ ნაწილად:

- **საზღაური**- ფულადი ან ნატურალური ფორმით
- **სარგებელი**- დამქირავებლისგან: სესხის შეღავათიანი პირობით მიღება , ვალის პატიება, საქონლის ან მომსახურების უსასყიდლოდ მიღება და სხვა.

(თ. კოპალეიშვილი , 2011: 134-137)

არარეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც

განისაზღვრება, როგორც კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისთვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობა. ( ლ.ზახტაძე 2007: 299 )

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთებია:

- ხელფასი- 20%
- დივიდენდები – 5%
- პროცენტები – 5 %
- როიალტი - 20%
- იჯარა- 15%

არარეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის განაკვეთებია:

- ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი – 20%
- საწარმოს,ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები – 10 %
- სხვა შემოსავლებისთვის- 15%

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:


1. არარეზიდენტის მიერ უცხოეთის დიპლომატიურ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები
2. გრანტი, სახელმწიფო პენსია, კომპენსაცია, სტიპენდია და დახმარებები
3. ალიმენტი და განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება

4. 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავალი
5. ლატარიიდან მიღებული მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს;
6. საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება, გარდა დაქირავებულის მიერ დამქირავებლისაგან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებისა.
7. საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;
8. ფიზიკური პირისთვის (დონორისთვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისთვის გაცემული თანხა და სხვა.

საშემოსავლი გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკური პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:

1. მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების;
2. პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართველის დედის“ საპატიო წოდება;
3. მარტოხელა დედის;
4. პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);
5. პირის, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი
6. მაღალმთაინ რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის მიერ აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე ,
7. ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე;

საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენა ევალება:



საშემოსავლო გადასახადის კვარტალურ დეკლარაციებს საგადასახადო აგენტი წარადგენს არა უგვიანეს ყოველი კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებული არიან მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

- არა უგვიანეს 15 მაისისა - 25%
- არა უგვიანეს 15 ივლისისა - 25%
- არა უგვიანეს 15 სექტემბერისა - 25%
- არა უგვიანეს 15 დეკემბერისა - 25%.

**(თ.კოპალეიშვილი 2011: 151)**

**საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სპეციალური რეჟიმები ვრცელდება :**

- ა) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე;
  - ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებზე;
  - გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებზე
- მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი

კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. მიკრო ბიზნესის დასაბეგრი ბაზა არის ნულის ტოლი. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს და მიმდინარე გადასახდელებს. დეკლარაციას წარადგენენ საგადასახადო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე.

- **მცირე ბიზნესის** სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ მისაღები ერთობლივი შემოსავალი წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს. მცირე ბიზნესის დასაბეგრი ბაზა არის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც შედგება საქართველოში არსებული წყროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლისგან, გარდა ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, იბეგრება 5 პროცენტით. მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია მიმდინარე გადასახდელების თანხები შეიტანოს ბიუჯეტში ყოველი კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

2018 წლის 1 ივლისიდან, მცირე ბიზნესის წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, ძალაში შევიდა დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი. მასშტაბური საგადასახადო ცვლილება 120 ათასამდე მეწარმე ფიზიკურ პირს შეეხო. ახალი საგადასახადო რეჟიმი ერთი მხრივ, აწესებს მინიმალურ საგადასახადო ტვირთს (1%) მცირე ბიზნესისთვის, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მეწარმეებისთვის გამარტივებული საგადასახადო აღრიცხვის მეშვეობით, მინიმუმამდე შემცირდეს საგადასახადო ადმინისტრირების დანახარჯები. საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭებათ მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში იქნება 500 000 ლარამდე, ნაცვლად მანამდე არსებული 100 000 ლარისა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი მიმდინარე წლის 1 ივლისიდან იბეგრება 1%-იანი განაკვეთით, ნაცვლად 5%-სა. ამასთან, 500 000 ლარზე გადაჭარბების მიუხედავად, პირს მცირე ბიზნესის სტატუსი უნარჩუნდება 2 კალენდარული წლის განმავლობაში. (ფინანსთა სამინისტრო, <https://mof.ge/News/8507>)

- ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას.

ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი შეიძლება იყოს:

ა) დაბეგვრის ობიექტზე – 1 ლარიდან 2000 ლარის ფარგლებში;

ბ) დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3 პროცენტი.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი თავისუფლდება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან.


**დასაბეგრი საქმიანობის სახე** შეიძლება იყოს : თონე, სილამაზის სალონი, ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.

	2017 წლის გეგმა	2017 წლის ფაქტიური შესრულება	2018 წლის გეგმა , მლრდ ლარი	ფაქტიური შესრულება	2019 წლის გეგმა	2019 წლის ფაქტიური შესრულება (5 თვის)
საშემოსავლო გადასახადი	2,570	2,525,970,7 (98%)	2,840	2,897,895,100 (101%)	3,166	1,327,077

ცხრილი 1.1

განვიხილოთ საშემოსავლო გადასახადის კანონით განსაზღვრული წლიური გეგმა და მიმდინარე პერიოდისთვის მათი მობილიზების მდგომარეობა ბოლო 3 წლის განმავლობაში. 2017 წელს ბიუჯეტის კანონის პროექტით საშემოსავლო გადასახადის გეგმური მაჩვენებელი განისაზღვრა 2,570 მლრდ ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ კი შეადგინა 2,525,970,700 მლრდ ლარი, რაც გეგმის 98%-ს შეადგენს. ანუ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გათვალისწინებული გეგმა ვერ შესრულდა 100%-ით. ზოგადად, გადასახადების დაგეგმილი მაჩვენებლების შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზია,

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე, რეალური შემოსავლების დამალვა, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების სისტემის მოუწესრიგებლობა, საგადასახადო კანონმდებლობის არასრულყოფილება და სხვ.



გრაფიკი 1.2 საშემოსავლო გადასახადის წლიური გეგმა და ფაქტიური შესრულება მლრდ ლარებში 2016-2019წწ. (<https://budgetmonitor.ge>)

## 1.2 მოგების გადასახადი

ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვიხილოთ მოგების გადასახადისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურებანი. კერძოდ კი, ფირმის, კორპორაციის მოგების გადასახადი თავისი ბუნებით წინააღმდეგობრივი ხასიათის მატარებელია. ცნობილია, რომ მოგების გადასახადის დაწესება იწვევს კაპიტალის შეფარდებითი დანახარჯების ზრდას და არა კაპიტალზე დანახარჯების ზრდას. იმ ზომით, რა ზომითაც მისაღებია გადასახადის დაწესება, იგი იწვევს კაპიტალის დანახარჯების შემცირებას წარმოების მოცემული მოცულობის უზრუნველსაყოფად და ამ აზრით, იგი მოქმედებს ინვესტიციების განხორციელების საწინააღმდეგოდ. კორპორაციის მოგების გადასახადს ხშირად კაპიტალიდან შემოსავლის გადასახადს უწოდებენ. ( ლ. ბახტაძე, 2007: 304)

საქართველოში მოგების გადასახადის გადამხდელია:

– რეზიდენტი საწარმო;

– არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

საქართველოს საწარმოს მოგების გადასახადით დასაბეგრი ობიექტია დასაბეგრი მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და მთლიან ხარჯებს შორის სხვაობა. მთლიან შემოსავალში შეიტანება ყველა ის შემოსავალი, რომელიც გავლენას ახდენს მოგების სიდიდეზე. არარეზიდენტი საწარმოსთვის დასაბეგრი ობიექტია დასაბეგრი მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი (მინუს გამოქვითვები)

საწარმოების დასაბეგრი ბაზა იბეგრება 15 პროცენტით. “ნავთობისა და გაზის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებების“ განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10 პროცენტით, თუ ეს ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.

მოგების გადასახადის დეკლარაცია წარდნენილი უნდა იყოს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე. საწარმოს ლიკვიდაციისას ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან – 15 დღის განმავლობაში.

#### **გადასახადის გადახდის ვადა:**

საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე. საწარმოს ლიკვიდაციისას ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან – 15 დღის განმავლობაში. მიმდინარე გადასახდელები გადაიხდებიან გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

- ა) არა უგვიანეს 15 მაისისა – 25 პროცენტი;
- ბ) არა უგვიანეს 15 ივლისისა – 25 პროცენტი;
- გ) არა უგვიანეს 15 სექტემბრისა – 25 პროცენტი;

დ) არა უგვიანეს 15 დეკემბრისა – 25 პროცენტი.

მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება:

- საქართველოს ეროვნული ბანკის მოგება;
- საბიუჯეტო, საერთაშორისო ან/და საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მოგების გარდა;
- ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, საწევრო შენატანები და შემოწირულებები;
- საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება;
- თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგება ან მოგების განაწილება;
- არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე.
- აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგების (გარდა მათ მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული მოგებისა) განაწილება და სხვა. **(საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, 2017 : თავი XIII, მუხლი 99)**

საქართველოში მოგების გადასახადის გეგმური მაჩვენებელი განისაზღვრა 740 მლნ ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ გადააჭარბა ამ მაჩვენებელს და შეადგინა 756,5 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმის 102%-ია. თუმცა წინა წელთან შედარებით, როდესაც შესრულებამ შეადგინა 108%-ს, 2017 წლის ფაქტიური შესრულება 6%-ით ნაკლებია.


ასევე აღსანიშნავია, რომ მოგების გადასახადის 2018 წლის თავდაპირველი მოცულობა 630 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა, ფაქტობრივად მიღებულ იქნა 736 მლნ.

ლარის ოდენობის მოგების გადასახადი, რაც 16.9%-ით აჭარბებს თავდაპირველ გეგმას.

	2017 წლის გეგმა	2017 წლის ფაქტიური შესრულება	2018 წლის გეგმა მლნ ლარი	2018 წლის ფაქტიური შესრულება	2019 წლის გეგმა	2019 წლის ფაქტი (5 თვის)
მოგების გადასახადი	740,0	756,555 (102%)	740,0	736,624,400 (99,5%)	781	395,262,100 (51%)

ცხრილი 1.3

საგადასახადო შემოსავლები



გრაფიკი 1.4 . მოგების გადასახადის წლიური გეგმა და ფაქტიური შესრულება მლნ ლარებში 2016-2019 წწ. (<https://budgetmonitor.ge>)

### 1.3 ქონების გადასახადი

ქონების გადასახადი არის კანონით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ნორმატიული აქტით შემოღებული ადგილობრივი პირდაპირი გადასახადი, რომლითაც იბეგრება ფიზიკური

და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონება. ქონების გადასახადის გადამხდელია ფიზიკური პირი და საწარმო(იურიდიული პირი):

ა) რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე;

ბ) არარეზიდენტი საწარმო – საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ქონებაზე (მათ შორის, იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე);

გ) ფიზიკური პირი:

- საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონება (მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობა, შენობა-ნაგებობა ან მათ ნაწილი), იახტები (კატარლებზე), შვეულმფრენები, თვითმფრინავები;
- არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებულ ქონება;
- ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული აქტივების, აგრეთვე ლიზინგით გაცემული ქონების ღირებულებით
- საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი ( **თ.კოპალეიშვილი, 2011 :198-200**)

- 1** • საქართველოს საწარმოების, ორგანიზაციებისა და უცხოური საწარმოების ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით.
- 2** • 100 000 ლარამდე წლიური საოჯახო შემოსავლის მქონე ფიზიკური პირისთვის ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების მარანაკლებ 0.05% და არა უმეტეს 0.2%.
- 3** • 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არა უმეტეს 1 პროცენტისა.

მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთებია:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე :

- გადასახადის ზღვრული განაკვეთები სათიბებისა და საძოვრებისთვის- 1.5-20 ლარი/ჰა
- გადასახადის ზღვრული განაკვეთები სხვა მიწებისთვის - 50-100 ლარი/ჰა

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე:

- გადასახადის საბაზისო განაკვეთი შეადგენს 0.24 ლარს.  
(თ.კოპალეიშვილი, 2011: 202)

ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი. საქართველოს საწარმოს დასაბეგრ ქონებაზე , უცხოური საწარმოს დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის გამოანგარიშებას აწარმოებს გადასახადის გადამხდელი.

რაც შეეხება საგადასახადო შეღავათებს, ქონების გადასახადისგან განთავისუფლებულია:

- 1) ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მიწისა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს
- 2) მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკურებაში არსებული 50 კვ.მ მიწის ფართობი
- 3) ორგანიზაციის ქონება, აგრეთვე ორგანიზაციაზე ლიზინგით გაცემული ქონება, გარდა მიწისა და ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა
- 4) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები
- 5) საერთო-სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურით დაკავებული მიწის ნაკვეთები

- 6) მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები პრივატიზების წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე
- 7) ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მიწისა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს
- 8) მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკურებაში არსებული 50 კვ.მ მიწის ფართობი
- 9) ორგანიზაციის ქონება, აგრეთვე ორგანიზაციაზე ლიზინგით გაცემული ქონება, გარდა მიწისა და ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა
- 10) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები
- 11) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებული ქონება
- 12) ბიოლოგიური აქტივი და ა.შ.

**(ლ. ბახტაძე, 2007: 392-393)**

ფიზიკური პირი გადასახადის დეკლარაციას წარდგენს- არა უგვიანეს 1 მაისისა, საწარმოები- არა უგვიანეს 1 აპრილისა.

ქონების გადასახადს იხდიან :

- საწარმოები- არა უგვიანეს 1 აპრილისა და არა უგვიანეს 15 ნოემბრისა
- ფიზიკური პირები- არა უგვიანეს 15 ნოემბრისა

## თავი II. საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები( არაპირდაპირი გადასახადები).

### 2.1. დამატებული ღირებულების გადასახადი

**დამატებული ღირებულების გადასახადი**- საერთო სახელმწიფოებრივი არაპირდაპირი გადასახადი, რომლითაც იბეგრება საქონლის(მომსახურების) წარმოებისა და გაცვლის ყოველ ეტაპზე შეიტანება საქონლის ფასში. დღგ-ის პოპულარობის ზრდის ძირითადი მიზეზია საბიუჯეტო შემოსავლის გადიდებისკენ მისწრაფება მოხმარების გადასახადების ხარჯზე. ამასთან, დღგ-ს გააჩნია უნარი მნიშვნელოვნად გაზარდოს ბიუჯეტის შემოსავლები სხვა გადასახადებთან შედარებით. დღგ-ს მეშვეობით შესაძლებელია საგადასახადო ოპერაციები ოპერატიულად განხორციელდეს ტექნიკური საშუალებებისა და საბუთბრუნვის განსაზღვრული სისტემის დახმარებით.

დამატებული ღირებულების გადასახადს გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

იგი არის შემოსავლების სტაბილური წყარო და ძნელია გადასახადის გადამხდელმა მის გადახდას თავი აარიდოს. დღგ გადასახადის გადამხდელს სტიმულს აძლევს არ დაუშვან ფასდამახინჯებები. თუმცა, დამატებული ღირებულების გადასახადის დასაბეგრი თანხის გაანგარიშების მეთოდოლოგია მეტად შრომატევადია. ამასთან, იგი როგორც არაპირდაპირი გადასახადი, შესულია საქონლისა და მომსახურების ფასებში, რის გამოც უარესდება მომხმარებელთა მატერიალური მფგომარეობა და ირღვევა სოციალური სამართლიანობის პრინციპი. ( **ლ.ბახტაძე, 2007 : 328**)

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად ითვლება პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ს გადამხდელად, ასევე არარეზიდენტი , რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში და ექვემდებარება უკუდაბეგვრას.

**დამატებული ღირებულების გადასახადის გადახმდელად სავალდებულო რეგისტრაციას ექვემდებარება პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მხიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება**

**100 000 ლარს.** პირს შეუძლია ნებაყოფლობით გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ს რეგისტრაციაში დღგ-ს გადამხდელად.

დამატებული ღირებულების გადასახადის დასაბეგრი ობიექტია:

- საქონლის დროებითი შემოტანა
- საქონლის ექსპორტი
- საქონლის იმპორტი

დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებია:

- საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა.
- დღგ-ით შემენილი საქონლის/მომსახურების გამოყენება არაეკონომიკური საქმიანობისათვის
- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში საქონლის ნაშთი, რომელზედაც გადამხდელს მიღებული აქვს ჩათვლა.
- ძირითადი საშუალებების მეიჯარისთვის დაბრუნება

დამატებული ღირებულების გადასახადის ბაზა:

- ✓ დასაბეგრი ოპერაციის თანხა-განისაზღვრება მიწოდებული საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასით დღგ-ის გარეშე
- ✓ იმპორტის თანხა- არის იმპორტირებული საქონლის სატარიფო ღირებულების და იმპორტისას გადასახდელი გადასახდელის ჯამი
- ✓ ექსპორტის თანხა-ტოლია ექსპორტირებული საქონლის სატარიფო ღირებულებისა
- ✓ საქონლის დროებითი შემოტანის თანხა- ტოლია დროებით შემოტანილი საქონლის იმპორტის თანხისა.

დღგ-ის განაკვეთი შეადგენს:

ა) დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18 პროცენტს

ბ)საქონლის დროებითი შემოტანისა სატარიფო ღირებულების 0.54 პროცენტს ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე, მაგრამ არა უმეტეს საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხის 18 პროცენტისა.

**საგადასახადო შეღავათებს** რაც შეეხება, შესაძლებელია დღგ-გან განთავისუფლება ჩათვლის უფლებით (ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იბეგრება ) და გამოიყენება ჩათვლის უფლება ან ჩათვლის უფლების გარეშე (ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას) და არ გამოიყენება ჩათვლის უფლება.

**( თ.კობალაიშვილი, 2011: 176)**

დღგ-ის ჩათვლა არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის უფლება, შეიმციროს გადასახდელი დღგ-ის თანხა მიღებული ჩათვლის დოკუმენტების საფუძველზე.

ჩათვლის დოკუმენტებია:

- ა) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
- ბ) საბაჟო დეკლარაცია;

ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან განთავისუფლებულია:

- საქონლის ექსპორტი
- საქონლის ექსპორტის და ტრანზიტის რეჟიმის სატრანსპორტო და მასთან დაკავშირებული მომსახურება
- ოქროს მიწოდება საქართველოს ეროვნული ბანკისთვის
- ბუნებრივი აირის მიწოდება თბოელექტროსადგურებისთვის
- საქონლისა და მომსახურების მიწოდება უბაჟო ვაჭრობის პუნქტებში და უცხოელ დიპლომატებზე
- აქტივების მიწოდება საწარმოს კაპიტალში, ამხანაგობაში ან საწარმოს რეორგანიზაციის შემხვევაში

ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან განთავისუფლებულია:

- ეროვნული, უცხოური ვალუტის და ფასიანი ქაღალდების მიწოდება ან/და იმპორტი
- ფარმაცევტული, სამედიცინო, ვეტერინარული დანიშნულების ზოგიერთი საქონლის იმპორტი და მიწოდება
- ეროვნული ბანკისთვის გადასაცემი ოქროს იმპორტი
- სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის პროგრამით
- ამხანაგობის წილის მიწოდება
- ფინანსური, სამედიცინო და განათლების მომსახურების გაწევა
- ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი. (თ.კოპალეიშვილი, 2011: 178)


დღგ-ს საანგარიშო პერიოდად ითვლება კალენდარული თვე. დღგ-ის საგასადახადო პერიოდია კვარტალოვანი.

- ✓ გადამხდელი ვალდებულია დღგ-ის დეკლარაცია წარადგინოს ყოველ საგასადახადო პერიოდზე არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხადოს დღგ.
- ✓ იმპორტზე დღგ-ის გადახდა ხდება იმპორტის დროს.
- ✓ საქონლის დროებითი შემოტანისას დღგ გადახდილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

ცხრილში მოცემულია დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმისა და ფაქტიური შესრულების მაჩვენებლები 2016-2019 წლებში. 2017 წელს დღგ გადასახადის გეგმური მაჩვენებელი განისაზღვრა 4,020 მლრდ ლარით და ფაქტიურად შესრულდა 103 %. 2018 წელს გეგმა გაიზარდა 4,430 მლრდ ლარამდე. 2019 წელს 2017 წელთან შედარებით გეგმური მაჩვენებელი შემცირდა და შეადგინა 4,036 მლრდ ლარი. რაც შეეხება შესრულებას, 5 თვის მონაცემებით შესრულებულია გეგმური მაჩვენებლის 38 %. ანუ როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, 2017 წლის გეგმა შესრულდა, ხოლო 2018 წელს დღგ გადასახადის გეგმის შესრულება იყო 99,9 %.

	2017 წლის გეგმა	2017 წლის ფაქტიური შესრულება	2018 წლის გეგმა მლრდ ლარი	2018 ფაქტიური შესრულება	2019 წლის გეგმა	2019 წლის ფაქტიური შესრულება (5 თვის)
დამატებული ღირებულების გადასახადი	4,020	4,122,612,800 (103%)	4,430	4 426,909,800 (99,9%)	4,036	1,521,664 (38%)

ცხრილი 2.1



გრაფიკი 2.2 .დამატებული ღირებულების გადასახადის წლიური გეგმა და ფაქტიური შესრულება მლრდ.ლარებში 2016-2019 წწ. (<https://budgetmonitor.ge>)

## 2.2. აქციზის გადასახადი

აქციზი არაპირდაპირი გადასახადების ერთ-ერთი სახეა, რომელიც ამოიღება მასობრივი მოხმარების საქონლისა და მომსახურების გაყიდვისას. იგი შედის საქონლის ფასში და მომსახურების ტარიფში. მისი გადამხდელია საბოლოო მომხმარებელი. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თუ დამატებული ღირებულების

გადასახადით იბეგრება საქონლის ღირებულების ღირებულების გარკვეული ნაწილი, აქციზით იბეგრება საქონლის მთლიანი ღირებულება , მატერიალური დანახარჯების ჩათვლით.

დღეისთვის აქციზური გადასახადი პრაქტიკულად გამოიყენება საქონლის და მომსახურების განსაზღვრულ სახეობათა მიმართ და ასრულებს ორ ფუნქციას:

1.იგი არის საბიუჯეტო შემოსავლების წყარო

2.აქციზური საქონლის მოხმარების შეზღუდვის და საქონლის მოთხოვნა-მიწოდების თანფარდობის რეგულირების საშუალება. აქციზით უპირატესად იბეგრება მაღალრენტაბელური საქონელი. მასში ძირითადად სამი ჯგუფი გამოიყოფა:სპორტიანი სასმელები, თამბაქოს ნაწარმი და საწვავი. ამასთან , ყველა ქვეყანა ცდილობს გააფართოსოს აქციზით დასაბეგრი საქონლის არეალი. ხშირად საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაციის გაზრდის მიზნით იბეგრება ქსოვილები, ცემენტი, შაქარი, გამაგრილებელი სასმელები, ფუფუნების საგნები,საიუველირო ნაწარმი, ბეწვეული, დელიკატესები, აგრეთვე აქარტული თამაშები.

**(ლ.ზახტაძე, 2007: 348)**

აქციზის გადამხდელია:

აქციზური საქონლის მწარმოებელი

- ✓ აქციზური საქონლის იმპორტიორი
- ✓ აქციზური საქონლის ექსპორტიორი
- ✓ პირი, რომელიც ეწევა ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/ და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის მიწოდებას
- ✓ პირი, რომელიც ეწევა მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებას

**აქციზით დაბეგვრის ობიექტებია:** დასაბეგრი ოპერაცია , ქვეყანაში აქციზური საქონლის იმპორტი და აქციზური საქონლის ექსპორტი.

**აქციზით დასაბეგრი ოპერაციებია:**

1. აქციზური საქონლის მწარმოებლის მიწოდება, საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანა ან დამკვეთისთვის გადაცემა
2. საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის არააქციზური საქონლის წამოებისთვის გამოყენება
3. ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის მიწოდება
4. მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევა

**აქციზის ბაზა განისაზღვრება:**

- შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართისთვის - ჯართის წონით
- თამბაქოს ნაწარმისთვის- თამბაქოს ნაწარმის ერთეულების რაოდენობით ან წონით
- ალკოჰოლიანი სასმელისთვის- ალკოჰოლიანი სასმელის მოცულობით
- ნავთობპროდუქტებისთვის- ნავთობპროდუქტების წონით ან მოცულობით
- ბუნებრივი აიროვანი კონდენსატისთვის ან/და ბუნებრივი აირისთვის - მოცულობით
- მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის შემთხვევაში მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხით

დასაბეგრი ოპერაციის ან/და საქონლის იმპორტის განხორციელებამდე აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას ექვემდებარება:

- აქციზით დასაბეგრი ალკოჰოლიანი სასმელები (მათ შორის, ლუდი), რომლებშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1,15 გრადუსს
- თამბაქოს ნაწარმი **(თ.კოპალეიშვილი, 2011: 183-184)**

აქციზური მარკების გამოყენების პრაქტიკა. აქციზური მარკების გამოყენება პირდაპირ არის დაკავშირებული აქციზის გადასახადის აკრეფასთან და გამოიყენება გადასახადის ამოღების კონტროლის გაძლიერების საშუალებად. აქციზური მარკების შემოღება

ამარტივებს გადასახადის გადახდის პროცესს, აძლიერებს კონტროლს, როგორც არალეგალური იმპორტისა და კონტრაბანდის შემცირების უზრუნველსაყოფად, ხელს უწყობს გადასახადის მოცულობის პროგნოზირებას. (ლ.ზახტაძე,2007:355-357)

აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებისაგან, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი შემთხვევებისა, თავისუფლდება:

- ექსპორტისთვის განკუთვნილი ადგილობრივი წარმოების საქონელი;
- თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მისაწოდებელი საქონელი;
- უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი იმპორტში მოქცეული საქონელი;
- 50 გრამის ან მასზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში ან 10 ლიტრზე მეტი (გარდა ლუდისა) მოცულობის ჭურჭელში ჩასხმული ალკოჰოლიანი სასმელი;
- იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 4 ლიტრამდე ალკოჰოლიანი სასმელი;
- მოსაწევი (ჩიბუხის) თამბაქო;

#### აკრძალულია:

- აქციზური მარკით ნიშანდების გარეშე მარკირებას დაქვემდებარებული საქონლით დასაბეგრი ოპერაციის ან/და იმპორტის განხორციელება, აგრეთვე საქონლის შემძენი ან/და მიმღები პირისთვის გადაცემა;
- ჩამოსასხმელი ან/და 10 ლიტრზე მეტი მოცულობის ჭურჭელში ჩამოსხმული აქციზური ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა) საცალო ქსელში მიწოდება.

იმპორტიორების მიერ აქციზური მარკების მიღებიდან 6 თვეში საქონლის იმპორტის განუხორციელებლობის შემთხვევაში აქციზური მარკები ექვემდებარება უკან დაბრუნებას. ექვსთვიანი პერიოდის გასვლიდან მეორე დღესვე აქციზური მარკების დაუბრუნებლობა ჩაითვლება აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის იმპორტად და ქვეყნის შიგნით მიწოდებად და შესაბამისად დაიბეგრება

გადასახადებით, ხოლო შემდეგ პერიოდში, დაუბრუნებელი აქციზური მარკებით მარკირებული საქონლის იმპორტისას, მოხდება გადასახდელად დარიცხული გადასახადების გადაანგარიშება ფაქტობრივად განხორციელებული იმპორტის ოდენობის პროპორციულად.

აქციზური საქონლის რეალიზაციისას აქციზის გადამხდელი ვალდებულია საქონლის მიმღების მოთხოვნის შემთხვევაში გამოუწეროს ანგარიშ-ფაქტურა.

**(ლ.ზახტაძე, 2007:349-350)**

აქციზისაგან გათავისუფლება არსებობს ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე: ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლებით ნიშნავს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება აქციზის დარიცხვას (არ იბეგრება) და გამოიყენება ჩათვლის უფლება. ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლების გარეშე ნიშნავს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება აქციზის დარიცხვას (არ იბეგრება) და არ გამოიყენება ჩათვლის უფლება.

**(საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, 2017 თავი XXVII, მუხლი 194)**

**ჩათვლის უფლების გარეშე აქციზისაგან გათავისუფლებულია:**

- ✓ ფიზიკური პირის მიერ საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში ერთი კალენდარული დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;
- ✓ ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნავთობ პროდუქტების იმპორტი ან / და მიწოდება
- ✓ ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელები

**ჩათვლის უფლებით აქციზისგან განთავისუფლებულია:**

- აქციზური საქონლის ექსპორტი
- საქონლის მიწოდება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში რეალიზაციისთვის

აქციზის საგადასახადო პერიოდია კვარტალი. გადამხდელები აქციზის დეკლარაციას წარადგენენ არა უგვიანეს საგადასახადო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

აქციზი გადახდას ექვემდებარება არა უგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების საგადასახადო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. აქციზური საქონლის იმპორტის/ექსპორტისას აქციზი გადაიხდება იმპორტის/ექსპორტის დროს. აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის მწარმოებლები და იმპორტიორები აქციზური მარკის შექმენისა იხდიან აქციზს და აქციზური მარკის ნომინალურ ღირებლებას სრული ოდენობით.

(თ.კოპალეიშვილი,2011: 188)


	2017 წლის გეგმა	2017 წლის ფაქტიური შესრულება	2018 წლის გეგმა მლრდ ლარი	ფაქტიური შესრულება	2019 წლის გეგმა	2019 წლის ფაქტიური შესრულება (5 თვის )
აქციზი	1,435	1, 450, 921,900 (101%)	1,440	1 465,726,600 (102%)	1,462	433,343,500 ( 30%)

ცხრილი 2.3

დიაგრამაზე წარმოდგენილია აქციზის გადასახადის კანონით განსაზღვრული წლიური გეგმა და მიმდინარე პერიოდისთვის მათი მობილიზების მდგომარეობა 2016-2018 წლებში და 2019 წლის ხუთი თვის მონაცემები.

2017 წელს წლიური გეგმის მაჩვენებელი განისაზღვრა 1,435 მლნ ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 101%, რაც წინა წელთან შედარებით 5%-ით ნაკლებია. 2018 წელს გეგმა გაიზარდა და ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1,462 მლრდ ლარი. 2017 და 2018 წელს გეგმა შესრულდა 100 %-ით. 2019 წლის 5 თვის მონაცემებით შესრულებულია 30 %-ით.

## საგადასახადო შემოსავლები



გრაფიკი 2.4 .აქციზის გადასახადის წლიური გეგმა და ფაქტიური შესრულება მლრდ ლარებში 2016-2019 წწ. (<https://budgetmonitor.ge>)

## 2.3. იმპორტის გადასახადი

იმპორტის გადასახადი- საერთო-სახელმწიფოებრივი არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც ამოიღება სახელმწიფოს მიერ ქვეყნის საზღვარზე გადაადგილებული საქონლიდან საბაჟო ტარიფებით გათვალისწინებული განაკვეთებით.

იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გადაადგილებს საწონელს, გარდა ექსპორტისა.

იმპორტის გადასახადის ობიექტია საქონლის შემოტანა ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე ( იმპორტი).

**იმპორტის გადასახადის დასაბეგრი ბაზა:**

იმპორტის გადასახადის დასაბეგრი ბაზა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის სატარიფო ღირებულებით.

(თ.კოპალეიშვილი,2011: 190-191)

*იმპორტის გადასახადის განაკვეთებია:*

12%	5%
0,2-1,5 ევრო/ლიტრი ღვინისა და სხვა დადუღებული სასმელებისთვის, ძმრისთვის.	1,5 ევრო/%vol სპირტიანი სასმელებისთვის
3,0 ევრო/ლიტრი სპირტისთვის	3% თვეში დროებით შემოტანილ საქონელზე
0,05 ლარი /სმ <sup>3</sup> +5%/წელი მსუბუქი ავტომანქანებისთვის	

**იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია:**

- ✓ საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;
- ✓ იმ საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტის შესახებ ხელშეკრულებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული წესით;
- ✓ ფიზიკური პირის მიერ 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის კვების პროდუქტების იმპორტი (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის
- ✓ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და დიაბეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის; რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), გლუკომეტრების, სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების იმპორტი
- ✓ ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისთვის განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების იმპორტი
- ✓ სამედიცინო დანიშნულების სხვადასხვა მოწყობილობის იმპორტი
- ✓ ელექტროძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების იმპორტი

- ✓ უსასყიდლოდ ჩამორთმეული, კონფისკებული, უპატრონო და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადავიდა სახელმწიფოს განკარგვაში ან საკუთრებაში. (თ.კოპალეიშვილი,2011: 190-191)

იმპორტის გადასახადის გამომწერიშება და დეკლარირება ხდება იმპორტის დროს სასაქონლო დეკლარაციის შედგენის გზით.


იმპორტის გადასახადის გადახდა ხორციელდება იმპორტის დროს სასაქონლო დეკლარაციის საფუძველზე

	2017 წლის გეგმა	2017 წლის ფაქტიური შესრულება	2018 წლის გეგმა მლნ ლარი	ფაქტიური შესრულება	2019 წლის გეგმა	2019 წლის ფაქტიური შესრულება
იმპორტის გადასახადი	65	71,618,900 (110%)	70	73,416,900 (105%)	83	28,071 (34%)

ცხრილი 2.5

რაც შეეხება იმპორტის გადასახადს, 2017 წელს გეგმური მაჩვენებელი შესრულდა 110%-ით. წლიური გეგმა განისაზღვრა 65 მლნ ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 71,618 მლნ ლარი. 2018 წელს გეგმა გაიზარდა 5 მლნ ლარით და შეადგინა 70 მლნ ლარი. 2017 და 2018 წელს გეგმა შესრულებული იყო გადაჭარბებით. ხოლო 2019

წელს 2017 წელთან შედარებით გეგმა გაზრდილია 18 მლნ ლარით და 5 თვის მონაცემებით შესრულებულია 34%-ით.



გრაფიკი 2. 6 .იმპორტის გადასახადის წლიური გეგმა და ფაქტობრივი მლნ ლარებში.2016-2019 წწ. (<https://budgetmonitor.ge>)

## 2.4 საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები.

2019 წლის ბიუჯეტში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა ძალაში.ეს სიახლე პირველია 2019 წლისთვის.2019 წლის ბიუჯეტის პროექტი გამორჩეულია იმით, რომ თან ახლავს ფისკალურ სექტორში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ცვლილებები: გათანაბრებითი ტრანსფერის გაუქმება და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ კანონში ცვლილებები. გათანაბრებითი ტრანსფერი არის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმისა და ფისკალური დეცენტრალიზაციის რეფორმის ფარგლებში კანონპროექტის მიხედვით იცვლება მუნიციპალიტეტების დაფინანსების მექანიზმები. პროექტი მომზადდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (GIZ) ტექნიკური დახმარებით, მათ შორის შესწავლილი ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება. საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებებით გათანაბრებითი ტრანსფერის სისტემა იცვლება განაწილებული გადასახადის (tax sharing) სისტემით და 2019 წლის 1 იანვრიდან დამატებული ღირებულების გადასახადის 19% განაწილება მუნიციპალიტეტზე, რაც მუნიციპალიტეტების მეტ დამოუკიდებლობას და მათი ფინანსების უკეთეს პროგნოზირებადობას უზრუნველყოფს.

ამ რეგულაციებთან ასევე დაკავშირებულია სხვა ცვლილებები, კერძოდ:

ა) ახალი სისტემით მუნიციპალიტეტებზე განაწილება ფაქტიურად მიღებული დღგ-ის 19% ნაცვლად წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადისა, რომლის ოდენობაც ნომინალურ გამოხატულებაში განისაზღვრებოდა;

ბ) გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულასთან შედარებით განაწილებული დღგ-ის პროგნოზირება თითოეული მუნიციპალიტეტისათვის უფრო მარტივია და ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების მიერ საშუალოვადიანი და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების გაუმჯობესებას.

ასევე, ვინაიდან მუნიციპალიტეტის დაფინანსების სისტემის შეცვლის შედეგად ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება მუნიციპალიტეტების შემოსავლები, გარდამავალ პერიოდში (2019-2023 წლები) მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან მიმდინარე ხარჯები გაზარდონ მხოლოდ მშთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროცენტული მაჩვენებლით.

- დამატებული ღირებულების გადასახადიდან 950 მლნ ლარამდე შემოსავალი ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტისა მიიმართება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში;

- საშემოსავლო გადასახადიდან 140 მლნ ლარამდე მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის ნაცვლად შევა ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში, ასევე 10 მლნ ლარამდე მიიმართება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებში;

ამასთან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში აღარ მოხდება გათანაბრებითი ტრანსფერისათვის სახსრების გათვალისწინება (760,0 მლნ ლარამდე);

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს რაც შეეხება, ფაქტობრივად ახლიდან იწერება მე-2 მუხლი - ეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დადგენა.

ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ კანონი 3 მნიშვნელოვან ზღვარს ადგენს:

1. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მშპ-თან არ უნდა აღემატებოდეს 30%-ს;
2. ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს და
3. საქართველოს სახელმწიფო ვალის შეფარდება მშპ-თან არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

ცვლილებების თანახმად, ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ზედა ზღვარი საერთოდ უქმდება. ეს ნიშნავს, რომ ე.წ. „მთავრობის ზომა“ კანონით აღარ იქნება შეზღუდული და შესაბამისად, მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში ნებისმიერ დონეზე შეიძლება გაიზარდოს. პირველ რიგში, ეს ცუდია იმ მხრივ, რომ ზოგადად, ეკონომიკაში მთავრობის ზომას და ეკონომიკურ ზრდის ტემპს შორის უარყოფითი ურთიერთკავშირია.

მშპ-ს 3%-მდე ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის ნაცვლად ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი შეიზღუდება. ეს ცვლილება პოზიტიურია, რადგან ერთიანი ბიუჯეტი ნაერთ ბიუჯეტთან ერთად იმ საბიუჯეტო ორგანიზაციების ოპერაციებსაც მოიცავს, რომლებსაც უფლება აქვთ საკუთარი შემოსავლები მიიღონ (სსიპ-ები, ა(ა)იპ-ები).

კიდევ ერთი ცვლილება არის ის, რომ სახელმწიფო ვალის ნაცვლად მთავრობის ვალი შეიზღუდება მშპ-ის 60%-მდე. მთავრობის ვალი სახელმწიფო ვალისგან განსხვავებით ეროვნული ბანკის ვალს არ მოიცავს. ეს ცვლილება ლოგიკურია, რადგან ეროვნული ბანკის ვალს სახელმწიფო ბიუჯეტი არ ემსახურება.

გარდა ამისა, იცვლება მთავრობის და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდების ზღვრული პარამეტრი. პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 1%-ს. აქამდე ზედა ზღვარი 2% იყო. აღნიშნული ფონდებიდან ხარჯვის პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ, ზღვრის დაწევა გამართლებულია. („საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ კანონი“)

გარდა ამისა, სიახლეები შეეხო მოგების გადასახადსაც. 2019 წლის 1 იანვრიდან დაწესდა ყოველთვიური მოგების გადასახადი. მოგების ყოველთვიური გადასახადი ვრცელდება რეზიდენტ საწარმოზე და არარეზიდენტ საწარმოზე, რომელიც საქართველოში საქმიანობს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით.

თუმცა, არის გამონაკლისებიც, კერძოდ: მოგების ყოველთვიური გადასახადი არ ეხება: კომერციულ ბანკს, საკრედიტო კავშირს, სადაზღვევო ორგანიზაციას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას და სესხის გამცემ სუბიექტს; ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწიფობ პირს.

ორგანიზაციის, რომელიც ეკონომიკური საქმიანობას ეწევა, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან ან/და არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან (მათ შორის, არ არის დაკავშირებული საქველმოქმედო საქმიანობასთან ან არ გამომდინარეობს გრანტის ხელშეკრულების მიზნიდან);

- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, თუ ეს არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან;

- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის/გაწეული ხარჯის (თუ გაწეული ხარჯი აღემატება მიღებულ შემოსავალს) 1 %-ს.

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ია. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

მოგების გადასახადი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

**დაბეგვრის ობიექტი**

----- X15%

**0.85**

საწარმო მოგების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს ყოველთვიურად არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხდის მოგების გადასახადს.

## თავი III. სახელმწიფო ბიუჯეტის კლასიფიკაცია


### 3.1. ბიუჯეტის შემოსავლების კლასიფიკაცია

სახელმწიფოს მიერ მობილიზებული ფინანსური სახსრების ერთობლიობა ქმნის ბიუჯეტის შემოსავლებს. „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ კანონი ბიუჯეტის შემოსავლებს განმარტავს, როგორც იმ სახსრების ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად.

ბიუჯეტის შემოსულობები ახალი კლასიფიკაციის მიხედვით მოიცავს:

1. შემოსავლებს, მათ შორის:

- ✓ გადასახადებს
  - ✓ გრანტებს
  - ✓ სხვა შემოსავლებს
2. არაფინანსური აქტივებს
  3. ფინანსურ აქტივებს
  4. ვალდებულებებს



გრაფიკი 3.1 . ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2019 წ.


**მათ შორის,სახელმწიფო შემოსავლების კომპონენტებია: საგადასახადო შემოსავლები - 89,5 % , გრანტები-5,%, სხვა შემოსავლები-5,4%**

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახებიდან მიღებული შემოსავლები მოიცავს: საშემოსავლო, მოგების, დამატებული ღირებულების, აქციზს,მოგების გადასახადი, იმპორტის და სხვა გადასახადებს.

(რ.კაკულია,2009: 150-151)

2019 წლის 5 თვის საგადასახადო სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

### საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა (5 თვე)



გრაფიკი 3.2. საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა

არაპირდაპირი გადასახადებიდან, 2019 წლის ბიუჯეტში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა დამატებული ღირებულების გადასახადი და იგი საერთო საგადასახადო შემოსავლების მოცულობის 39,6 %-ით განისაზღვრა. რაც შეეხება პირდაპირ გადასახადებს, აღსანიშნავია საშემოსავლო გადასახადი , რომლის წილადაც მოდის საგადასახადო შემოსავლების 34,6%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების სახით მობილიზებული შემოსავლების მოცულობის ანალიზის საფუძველზე შევნიშნავთ, რომ 2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში მაღალია არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილი, რაც ნამდვილად არ წარმოადგენს დადებით მომენტს და მხოლოდ და მხოლოდ მიუთითებს იმაზე, რომ გადასახადების მთელი სიმძიმე ქვეყნის ისედაც რთულ სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას აწვება.

თუ შევადარებთ წინა წელს, დავინახავთ , რომ 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა 10,314 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა და 618 მლნ ლარით გაიზარდა (6%-ით) 2017 წელთან შედარებით. წლის ბოლოს ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, გეგმა 10,463 მლნ ლარამდე (1.4%-ით) გაიზარდა. ფაქტობრივად მიღებული შემოსავლების მოცულობამ 10,596 მლნ ლარი შეადგინა და 281.4 მლნ ლარით (2.7%-ით) გადააჭარბა ბიუჯეტის თავდაპირველი

კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს, რაც საგადასახადო შემოსავლებისა და სხვა შემოსავლების მუხლების გადაჭარბებული მობილიზებით იქნა განპირობებული.

2019 წელს საგადასახადო შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 10,402,700 მლრდ ლარით, რაც 2018 წლის მონაცემებთან შედარებით დაბალია. რაც შეეხება შესრულებას, 2019 წლის 5 თვის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელმა შეადგინა 4,286,022,600 მლრდ ლარი, რაც თავდაპირველი გეგმის 41 % შეადგენს.

გარდა ამისა, 2019 წელს 0.8%-ით (75 მლნ ლარით) გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმური მაჩვენებელი და 9,565 მლნ ლარს შეადგენს. ეს განპირობებულია საბიუჯეტო კოდექსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის წარმოდგენილი ცვლილებებით, რომლის მიხედვითაც გათანაბრებითი ტრანსფერისა და საშემოსავლო გადასახადის გარკვეული კომპონენტების ნაცვლად, 2019 წლიდან მუნიციპალიტეტებში მიიმართება მობილიზებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ჯამური მოცულობის 19%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 946 მილიონ ლარს შეადგენს. შედეგად, მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტში დღგ-დან მისაღები შემოსავლების მოცულობა (364 მლნ ლარით), თუმცა იზრდება საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი.

**სოციალური შენატანების კატეგორიაში** აღირიცხება სოციალური გადასახადი, თუმცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით 2008 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული გადასახადი გაუქმებულია.

**გრანტები** მოიცავს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულ გრანტებს, უცხო ქვეყნის მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობიდან მიღებულ გრანტებს. გრანტი არის გრანტის გამცემის მიერ გრანტის მიმღებისთვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომელიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევითი, სოციალური პროექტების დაფინანსებისთვის.

გრანტის გამცემი შეიძლება იყოს:

1. საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, უცხოეთის ქვეყნის მთავრობა ან მისი წარმომადგენლობა.
2. ქვეყნის ის არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომლის ძირითადი საქმეებში მიზანია ქონების დაგროვება საქველმოქმედო, სოციალური, კულტურული და სხვა საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით

გრანტის მიმღები შეიძლება იყოს:

1. თვით სახელმწიფო, აგრეთვე ქვეყნის პრეზიდენტი
2. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
3. ქვეყნის რეზიდენტი ან არარეზიდენტი არასამეწარმეო იურიდიული პირი, მისი წარმომადგენლობა, ფილიალი, განყოფილება
4. ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე

გრანტი გამოიყენება მხოლოდ ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისთვის. სხვა მიზნებისთვის გრანტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გრანტის გამცემის (დონორის) თანხმობით.

**გრანტი სხვადასხვა ტიპისაა:** ძირითადად არსებობს გრანტის ორი სახეობა- მიზნობრივი და არამიზნობრივი. მიზნობრივი გრანტი გაიცემა მხოლოდ განსაკუთრებული მიზნებისთვის.

*მთავრობათაშორისი გრანტი*, როცა ფედერალური მთავრობა გრანტს აძლევს ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულების მთავრობებს. იგი ადგილობრივი საჯარო ფინანსების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. *სახელმწიფოთაშორისი გრანტი*-იგი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების მიერ ეძლევა განვითარებად ქვეყნებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარების მიზნით. სწორედ დონორი ორგანიზაციების და ქვეყნების თანადგომა გახდა საფუძველი 1994 წლიდან გატარებული ეკონომიკური რეფორმების საქართველოში. ამ რეფორმების შედეგად ქვეყანაში დაჩქარდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, დაძლეულ იქნა ჰიპერინფლაცია და შემოღებულ იქნა ახალი ეროვნული ვალუტა ლარი.

სხვა შემოსავლები მოიცავს : საკუთრებიდან, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავლებს და სხვა შემოსავლებს.

### 3.2. ბიუჯეტის ხარჯების კლასიფიკაცია


ბიუჯეტის ხარჯები არის ბიუჯეტის ანგარიშიდან გასაცემი ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა. იგი წარმოადგენს სახელმწიფო , ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ხელისუფლების მიერ მათი ამოცანების და ფუნქციების განხორციელების მიზნით გამოყენებულ ფლად სახსრებს. ბიუჯეტის გადასახდელებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა:

ა) ხარჯები;

ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);

გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);

დ) ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები



გრაფიკი 3.3 . ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა

**ფუნქციონალური კლასიფიკაცია** ითვალისწინებს სახელმწიფო ხარჯების კლასიფიკაციას საერთო-სახელმწიფო და ეროვნული მიზნების დასაფინანსებლად. აღნიშნული სისტემა მთავრობას საშუალებას აძლევს დაგეგმოს, გაანაწილოს და გაანალიზოს ხარჯები ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიის მიხედვით. საქართველოს ბიუჯეტების ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის პირველი დონე აერთიანებს ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი სახელმწიფო ფუნქციების შესრულებასთან, მეორე დონეზე კი ხარჯები გაშლილია მიზნების იდენტიფიკაციის შესაბამისად. საქართველოს ბიუჯეტის ხარჯების ზოგადი კლასიფიკაცია შედგება პირველი დონის ათი ძირითადი ჯგუფებისგან: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება; თავდაცვა; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; ეკონომიკური საქმიანობა; გარემოს დაცვა; ჯანმრთელობის დაცვა; განათლება; სოციალური დაცვა.

**ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია** მოიცავს შემდეგ ჯგუფებს:

- შრომის ანაზღაურება
- საქონელი და მომსახურება
- ძირითადი კაპიტალის მოხმარება

- პროცენტი
- სუბსიდიები
- გრანტები
- სოციალური უზრუნველყოფა
- სხვა ხარჯები

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ეკონომიკურ ჭრილში კოდირება პარლამენტს და აღმასრულებელ ორგანოებს ეხმარება შეაფასონ სახელმწიფო ხარჯების გავლენა ეკონომიკაზე, ასევე დასახული მიზნის განსახორციელებლად დაგეგმილი ხარჯების სისწორე და მიზნობრიობა. ბიუჯეტის გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაცია ერთიანია ყველა დონის ბიუჯეტის, მხარჯავი დაწესებულების და საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის. (რ.კაკულია,2009: 158-161)

#### შრომის ანაზღაურების მუხლი მოცავს:

- **თანამდებობრივი სარგო**- აერთიანებს ნომინალურ ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც დადგენილია მუშაკისთვის მისი დაკავებული თანამდებობის შესაბამისად.
- **წოდებრივი სარგო**- მინიჭებული წოდებისთვის დადგენილი სარგო
- **პრემია**-მოიცავს ყველა სახის ფულად წახალისებას.
- **დანამატი** მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისთვის განკუთვნილი დამატებით საზრაურს.
- **ჰონორარი** არის ფულადი ანაზღაურება, რომელსაც უხდიან ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებისთვის, მეცნიერული ნაშრომებისა და გამოგონებების ავტორებს ნაწარმოებების პუბლიკაციისა და გამოყენებისთვის.
- **კომპენსაცია** მოიცავს დაქირავებულისთვის ნორმატიული აქტით განსაზღვრულ ყველა სახის ფულად კომპენსაციას, გარდა სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციებისა.
- **ხელფასი** სასაქონლო ფორმით მოიცავს ხელფასის ფულადი ფორმით კატეგორიაში წარმოდგენილ ყველა გასაცემელსა და საზღაურს სასაქონლო ფორმით.

### საქონლისა და მომსახურების სახეებს განეკუთვნება:

- ✓ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზრაურება: ხელშეკრულებით დაქირავებულ შტატგარეშე მომუშავეთათვის ფულადი ან სასაქონლო ფორმით გაცემულ კომპენსაციას.
- ✓ მივლინებები მოიცავს: მივლინების დროს მგზავრობის ,საცხოვრებელი ადგილის, დღიური ნორმის და მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის ხარჯებს, მივლინებული მუშაკის სავალდებულო დაზღვევის ხარჯებს.

### ოფისის ხარჯები მოიცავს:

- საკანცლარიო საქონლის, საბუღალტრო ბლანკების , ბიულეტენების და სხვათა შენაძენს.
- საოფისე ტექნიკის, ინვენტარის და მოწყობილობების შეძენისა და მათი დამონტაჟების ხარჯებს.
- შენობა-ნაგებობის და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯებს და ა.შ.

### წარმომადგენლობითი ხარჯების კატეგორია მოიცავს:

- მიღების ,წვეულებებისა და ღონისძიებებისთვის ,მათ შორის პროტოკოლით გათვალისწინებულ ხარჯებს:
- საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებს
- სუვენირების შეძენის ხარჯებს
- სტუმრების მომსახურების მიღების ხარჯებს

### კვების ხარჯები მოიცავს:

- ბაგა-ბაღებში ,საბავშვო სახლებში,საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებებში კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში,სამედიცინო დაწესებულებებში კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს

### სამედიცინო ხარჯები მოიცავს :

მედიკამენტების, აგრეთვე სამედიცინო დანიშნულების სამკურნალო მინერალური წყლის, ვიტამინების, ვაქცინების და სხვა სადებიტორული საშუალებების და ანალოგიური სახის საქონლის შექმნის ხარჯებს

**ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები**  
**სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შექმნის ხარჯები და სხვა.**

**პროცენტი** წარმოადგენს გადასახდელს, რომელიც გამომდინარეობს ფინანსური მოთხოვნების გარკვეული სახეებიდან, კერძოდ დეპოზიტებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან(გარდა აქციებისა) , სესხებიდან და კრედიტორული დავალიანებებიდან. სასესხო ვალდებულებები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ერთი ერთეული(დებიტორი) სესხს იღებს მეორე ერთეულისგან (კრედიტორისგან).

**სუბსიდიები** წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულის მიერ მიმდინარე მიზნებისთვის გაცემულ ტრანსფერს. ამ მუხლში აღირიცხება საჯარო სამართლის იურიდიული პირებსა და სხვა საწარმოებზე მიმდინარე დ საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად გაცემული თანხები.

**გრანტების კლასიფიკაცია**

გრანტი წარმოადგენს არასავალდებულო მიმდინარე ან კაპიტალური დანიშნულების ტრანსფერებს ერთი დონის სახელმწიფო ერთეულიდან სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე , საერთაშორისო ორგანიზაციასა და თუ სხვა ქვეყნის მთავრობაზე. ამ მუხლში აღირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგლობრივი თვითმმართველობისთვის და ავტონომიური რესპუბლიკისთვის გადაცემული ფინანსური დახმარება , ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების ხარჯები.

**სოციალური უზრუნველყოფა.**

სოციალური უზრუნველყოფა არის ტრანსფერი ფულადი ან სასაქონლო ფორმით, რომელიც ხორციელდება მთელი მოსახლეობის ან მისი გარკვეული ნაწილის სოციალური რისკებისგან დაცვის მიზნით.

## სოციალური დაცვა მოიცავს

- სახელმწიფო პენსიებს
- სახელმწიფო კომპენსაციებსა და სახელმწიფო აკადემიურ სტიპენდიებს
- ინვალიდთა პენსიებს, დახმარებას და უმუშევრობის დროს
- ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებს და სხვ.

## სხვა ხარჯები:

სხვა ხარჯები მოიცავს მოიცავს: ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გარდა პრცენტისა და სხვადასხვა ხარჯებს. ქონებასთან დაკავშირებული ხარჯი გულისხმობს რენტაზე გაწეულ ხარჯს, რომელიც წარმოადგენს ხარჯს, დაკავშირებულს მიწის, წიაღისეული აქტივების და სხვა ბუნებრივად წარმოქმნილი აქტივის იჯარით სარგებლობასთან. ეს კატეგორია მოიცავს:

- მიმდინარე ხარჯებს
- პიტალურ ხარჯებს

## სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებში შედის

კანონმდებლობით დადგენილი ყველა სახის გადასახადები (გარდა საშემოსავლო, დამატებული ღირებულებისა და საბაჟო მოსაკრებლისა) , საურავები, ჯარიმები, მოსაკრებლები, საკომისიოები და ა.შ.

## სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები მოიცავს:

- საოჯახო მეურნეობებზე და მათ მომსახურე საბაზრო საწარმოებისთვის და არამომგებიანი დაწესებულებებისთვის გაცემულ ფულად ან სასაქონლო ფორმის კაპიტალურ ტრანსფერებს
- საწარმოებისა და ორგანიზაციების არაფინანსური აქტივების დაზიანების კომპენსაციას. (რ.კაკულია, 2009: 172-178)

რაც შეეხება ხარჯების შესრულების ანალიზს, ხარჯების მუხლი 2017 წელს გეგმით იყო გათვალისწინებული 9,916 მლნ ლარით, ხოლო ფაქტიური შესრულება 9, 544 მლნ ლარი შეადგინა, რაც გეგმის 96.3 %ია. ფისკალური წლის დასასრულს მკვეთრი ზრდით ხასიათდება გადასახდელების ყველა კომპონენტი. „ხარჯების“ მუხლში ათვისებული რესურსის მოცულობა 11 თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 85%-ით აჭარბებს.

განსაკუთრებული ზრდით ხასიათდება არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლები.

შეგვიძლია გავაანალიზოთ 2017-2019 წელს ბიუჯეტის გადასახდელების გეგმური და ფაქტიური მაჩვენებლები. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, 2018 წელს გადასახდელების ყველა კომპონენტი შესრულდა 100%-ით, გარდა „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლისა. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით გადასახდელების ოდენობა 12.7 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა და 2.2%-ით იზრდება 2018 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით. გადასახდელების ზრდა დაგეგმილია ყველა კომპონენტის ხარჯზე გარდა „ხარჯების“ კომპონენტისა, რომელიც 4.5%-ით მცირდება, რაც განპირობებულია „გრანტების“ მუხლის 67%-იანი კლებით, ასევე, საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება მუნიციპალიტეტებში მისამართი გათანაბრებითი ტრანსფერის დღგ-თი ჩანაცვლებას.

	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ბიუჯეტის გეგმა	2018 წლის შესრულება	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	2017-2018 წწ. ზრდა
<b>გადასახდელები</b>	<b>11,764,835</b>	<b>12,459,500</b>	<b>12,590</b>	<b>12,729,700</b>	<b>5.9%</b>
ხარჯები	9,372,090	9,526	9,543	9,279,700	3,7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	971,756	1,628,530	1,912,171,270.66	2,082,279	67,6%
ფინანსური აქტივების ზრდა	905,602	371,364,816.00	381,098,412.98	434,90	-61,4%
ვალდებულებების კლება	515,388	753,199,301.00	753,199,261.88	933,879	47,5

ცხრილი 3.4.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ცხრილი მომზადებულია ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე

### 3.3 ქვეყნის ძირითადი საბიუჯეტო და მაკროეკონომიკური პარამეტრები.

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სრულყოფილი ანალიზისათვის, საჭიროდ მიგვაჩნია დეტალურად განვიხილოთ ქვეყნის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში. დღესდღეობით საქართველოს მთავრობის ძირითადი ძალისხმევა მიმართულია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ, რომელიც დაფუძნებულია ისეთ პრინციპებზე, როგორცაა : თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, საკუთრების ხელშეუხებლობა, თავისუფალი ბიზნესი და სხვა. ასევე პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება ევროკავშირში ინტეგრაცია, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, მეწარმეობისა და დამწყები ბიზნესის წახალისება, და ა.შ.

2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ შესრულებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ( „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი)

2018-2020 წლებში საქართველოს განვითარების სამთავრობო ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

1. ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია. ასევე ნატოში სრულფასოვანი ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა და ერთ-ერთი უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორია ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებისა და სტაბილური განვითარებისთვის
2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება- საქართველოს სჭირდება მაღალი საბრძოლო მზადყოფნის, ტერიტორიული თავდაცვისა და შეკავების ამოცანების განხორციელების მდგრადი უნარებითა და შესაძლებლობებით აღჭურვილი,

ეფექტიანი შეიარაღებული ძალები. საქართველოს შეიარაღებული ძალების ძირითადი მისიაა ქვეყნის თავდაცვა, რომლის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ტერიტორიული თავდაცვის უზრუნველყოფაზე. ამასთან, გაგრძელდება როგორც სამხედრო-სამედიცინო შესაძლებლობების განვითარება, ისე შეიარაღებული ძალების, თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა, მათი ოჯახის წევრთა, ვეტერანთა, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა სამედიცინო მომსახურების/რეაბილიტაციის ეფექტიანობის ამაღლება და დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ღონისძიებები. ძირეული და ინოვაციური რეფორმები მთავრობის ხედვა ეფუძნება ისეთ ინოვაციურ რეფორმებს, როგორცაა:

ეკონომიკის სტრუქტურულ გაჯანსაღებაზე, პროდუქტიულობის ზრდაზე, ქვეყნის კონკურენტული უპირატესობების სრულად გამოყენებასა და, შესაბამისად, სიღარიბის დაძლევაზე;

- მოსახლეობის იმ ფენების მხარდაჭერაზე, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ;
- გარემოსდაცვით ღონისძიებებზე, ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებაზე. ასევე, მთავრობა განაგრძობს ბიზნესგარემოს რეფორმასაც, რომელიც გულისხმობს:

*ადგილობრივი წარმოების პროდუქციის წახალისებას.* კერძოდ, ქართული წარმოების ნატურალური რძე და რძის ნაწარმი სრულად გათავისუფლდება 17 დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლებით. დღგ-სგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლდება ფარმაცევტული საწარმოს მიერ წარმოებული ფარმაცევტული პროდუქციის მიწოდება. ამით საგრძნობლად შემცირდება იმპორტული საქონლის უპირატესობა ადგილობრივის მიმართ; შეიქმნება სპეციალური საგადასახადო რეჟიმები, რომლებიც განსაკუთრებით მიმზიდველი იქნება მულტინაციონალური კომპანიებისათვის საქართველოში რეგიონალური ოფისების დაფუძნებისათვის;

- შემუშავდება ახალი საგადასახადო და საბაჟო კოდექსები, რომლებიც უზრუნველყოფს უფრო მარტივი და სამართლიანი წესების დამკვიდრებას

### 3.საერთაშორისო რეიტინგები

მთავრობის მიზანია საქართველო მოხვდეს ყველა ძირითადი ავტორიტეტული რეიტინგის ათეულში. მთავრობა აქტიურად გააგრძელებს რეფორმების ციკლს და საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის პოზიციების გასაუმჯობესებლად შეიმუშავებს შესაბამის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას, რომლის განხორციელებაც ხელს შეუწყობს მთავრობის პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდას

### 4.მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკით გაძლიერდება ღონისძიებები მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით, რათა ის იქცეს ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების რეალურ მამოძრავებელ ძალად.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ახალი ინსტრუმენტების განვითარება, რომელთა მიზანია ეკონომიკაში არსებული საბაზრო ჩავარდნების აღმოფხვრა. კერძოდ, ბიზნესისთვის არასაკმარისი უზრუნველყოფით გამოწვეული შეზღუდვების შემცირება, რაც ხელს უშლის სიცოცხლისუნარიან ბიზნესს კრედიტის აღებაში.

„წარმოე საქართველოში“ სააგენტო კვლავ აქტიურად გააგრძელებს ადგილობრივი წარმოების განვითარების, ექსპორტის ხელშეწყობისა და ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებებით მუშაობას.

რაც შეეხება ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ რეფორმებს, აღსანიშნავია შემდეგი:

- **კაპიტალის ბაზრის რეფორმა**

ქვეყანაში განვითარებული კაპიტალის ბაზრის არსებობა გულისხმობს, საბანკო დაკრედიტების პარალელურად, კომპანიებისათვის გრძელვადიანი ფინანსური რესურსების მოზიდვის ეფექტიან შესაძლებლობას. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, შემოღებულია კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტების საგადასახადო დაბეგვრის ახალი სისტემა, რომელიც გულისხმობს საგადასახადო სისტემის უფრო მეტად ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულობას, ასევე სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის თანაბარ პირობებში ჩაყენებას.

- **საპენსიო რეფორმა**

საპენსიო რეფორმა საქართველოში 2019 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. ამ რეფორმის მიზანია კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა. რეფორმის ამოცანაა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება საპენსიო ასაკში, აგრეთვე არსებული სოციალური სისტემის ფისკალური მდგრადობის შენარჩუნება.

- **საგარეო სავაჭრო ურთიერთობები**

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია საერთაშორისო ვაჭრობისადმი გახსნილობა. აღსანიშნავია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, რომლის ამოქმედებით საქართველოში შეიქმნა ექსპორტის ზრდისა და ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები. 2018 წლის პირველი მაისიდან ამოქმედდა საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება. საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ძალაში შევიდა 2018 წლის პირველ იანვარიდან. 2018 წლის 28 ივნისს ხელი მოეწერათავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონთან, ჰონკონგთან.

ასევე, მნიშვნელოვანია რომ გავაანალიზოთ ქვეყნის ძირითადი საბიუჯეტო და მაკროეკონომიკური პარამეტრები.

საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ, რომლის მისაღწევად ძირითადი პრიორიტეტებია:

- ეკონომიკის სტაბილიზაცია და მომდევნო ეტაპზე ეკონომიკის მდგრადი და მაღალი ტემპით ზრდა;
- ინფლაციის დონის ერთნიშნა მაჩვენებლის შენარჩუნება;
- უმუშევრობის დონის შემცირება;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება;

ასევე, მნიშვნელოვანია რომ გავანალიზოთ საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების ცვლილებები, რადგან მაკროეკონომიკური ინდიკატორების და ვარაუდების ცვლილება აისახება ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლებზეც. (კანონპროექტი “ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები, 2018: 252)

ცხრილი 3.5

(მილიონი ლარი)	2017	2018	2019	2020	2021	2022
	ფაქტ.	მოსალ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
<b>შემოსავლების ძველი პროგნოზი</b>	<b>10,865.0</b>	<b>11,470.0</b>	<b>12,330.0</b>	<b>13,230.0</b>	<b>14,190.0</b>	<b>0.0</b>
<b>ცვლილებები სულ</b>	<b>56.2</b>	<b>254.0</b>	<b>37.0</b>	<b>40.0</b>	<b>10.0</b>	<b>15,340.0</b>
გადასახადები	38.9	240.0	0.0	0.0	-90.0	14,000.0
გრანტები	-34.4	-41.0	-48.0	-50.0	-50.0	340.0
სხვა შემოსავლები	51.6	55.0	85.0	90.0	150.0	1,000.0
<b>შემოსავლების ახალი პროგნოზი</b>	<b>10,921.2</b>	<b>11,724.0</b>	<b>12,367.0</b>	<b>13,270.0</b>	<b>14,200.0</b>	<b>15,340.0</b>
<b>ხარჯები და არა ფინანსური აქტივების ძველი პროგნოზი</b>	<b>11,220.0</b>	<b>12,145.0</b>	<b>13,100.0</b>	<b>14,030.0</b>	<b>14,974.0</b>	<b>0.0</b>
<b>ცვლილებები სულ</b>	<b>288.3</b>	<b>299.0</b>	<b>248.0</b>	<b>370.0</b>	<b>365.0</b>	<b>16,625.0</b>
<b>ხარჯები</b>	<b>49.3</b>	<b>34.0</b>	<b>136.0</b>	<b>60.0</b>	<b>115.0</b>	<b>11,835.0</b>
შრომის ანაზღაურება	-11.1	0.0	4.0	-5.0	-5.0	2,020.0
საქონელი და მომსახურება	25.7	-1.0	-2.0	0.0	-5.0	1,780.0
პროცენტი	-13.5	0.0	29.0	0.0	0.0	710.0
სუბსიდიები	71.7	0.0	26.0	0.0	0.0	1,000.0
გრანტები	-51.9	0.0	47.0	30.0	55.0	155.0
სოციალური უზრუნველყოფა	13.9	10.0	-6.0	0.0	20.0	4,840.0
სხვა ხარჯები	14.5	25.0	38.0	35.0	50.0	1,330.0
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>238.9</b>	<b>265.0</b>	<b>112.0</b>	<b>310.0</b>	<b>250.0</b>	<b>4,790.0</b>
<b>ხარჯები და არა ფინანსური აქტივების ახალი პროგნოზი</b>	<b>11,508.3</b>	<b>12,444.0</b>	<b>13,348.0</b>	<b>14,400.0</b>	<b>15,339.0</b>	<b>16,625.0</b>

ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილება მოცემულია ცხრილში. როგორც ვხედავთ ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების განახლებული საპროგნოზო მაჩვენებლები მომატებულია. საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზების ცვლილება გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის პროგნოზის კორექტირებისგან და სხვა ფაქტორებისგან. კერძოდ, საწვავზე და თამბაქოზე აქციზის განაკვეთის მატების შედეგად აქციზის წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში გაზრდილია. რადგან აქციზით იბეგრება მოხმარებული რაოდენობა და არა ღირებულება, ამიტომ აქციზის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი არ იზრდება ნომინალური მშპ-ს პროპორციულად. იმის გათვალისწინებით, რომ არც აქციზური პროდუქციის მოხმარება იზრდება რეალური მშპ-ს პროპორციულად, აქციზიდან მისაღები შემოსავლების ზრდა რეალური მშპ-ს ზრდაზე ნაკლებია. მიუხედავად იმისა, რომ ნომინალური მშპ მცირედით აჭარბებს თავდაპირველ პროგნოზს, მშპ-ს ზრდის კორექტირების გამო, საგადასახადო შემოსავლები, 2021 წლისთვის, თავდაპირველ პროგნოზებზე მაინც ნაკლებია. ბიუჯეტის ხარჯების პროგნოზში ასახულია სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა. შემოსავლებისა და დაფინანსების წყაროების შესაბამისად, შეცვლილია ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის პროგნოზებიც. (კანონპროექტი “ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები“, 2018: 475)

ცვლილებები განიცადა ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების პროგნოზშიც. როგორც ზემოთ აღინიშნა, მომატებულია როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებლები, თუმცა იმპორტის მატება აჭარბებს ექსპორტის შესაბამის მაჩვენებელს, რასაც გავლენა აქვს სავაჭრო ბალანსზეც. საპირისპირო დინამიკა აქვს მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებლებს, რაც საქონლით ვაჭრობის დეფიციტის ნაწილობრივ კომპენსაციას ახდენს.

გარდა ამისა, შეცვლილია მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებელიც .

ცხრილი 3.6

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
	ფაქტ.	ფაქტ.	ფაქტ.	მოსაღ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
რეალური მშპ (ზრდის ტემპი)	2.9	2.8	5.0	5.0	4.5	5.0	5.5	6.0
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	31,755.6	34,028.5	38,042.2	41,741.8	45,146.9	48,826.4	53,057.2	57,927.8
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3,766.6	3,864.6	4,067.7	4,454.9	4,616.8	4,993.1	5,425.7	5,923.8
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო პერიოდის განმავლობაში)	4.0	2.1	6.0	3.5	3.0	3.0	3.0	3.0
მიმდინარე ანგარიში (პროცენტულად მშპ-თან)	-12.1	-12.8	-8.7	-9.7	-8.3	-7.6	-6.9	-6.1

აღსანიშნავია, 2018 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია ეკონომიკური ზრდის 4,5%-იან მაჩვენებელზე, თუმცა სტატისტიკის სამსახურის წინასწარი მონაცემებით მიმდინარე II კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 5,5%, ხოლო მშპ-ს დეფლატორმა 4,8%. 6 თვის მონაცემების მიხედვით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი შეადგენს 5,4%-ს. ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2018 წელს გაზარდა 5,5%-მდე, ხოლო 2019 წლისთვის 4,8%-ით განსაზღვრა. საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი გაზარდეს სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმაც. ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2018 წელს 4,5%-იდან გაიზარდა 5%, ხოლო 2019 წლის პროგნოზი განისაზღვრა 4,5%-ით. მომდევნო წლებში ეტაპობრივად იზრდება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და 2020 წელს შეადგენს 5,0%-ს, 2021 წელს 5,5%-ს, ხოლო 2022 წელს 6,0%-ს. ეკონომიკის რეალური ზრდის დარგობრივი სტრუქტურაში ყველაზე სწრაფად გაიზარდა საფინანსო საქმიანობა - 16.2 პროცენტით, სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა - 15.7 პროცენტით, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა - 13.6 პროცენტით, ვაჭრობა - 7.9 პროცენტით, სამთომოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა - 7.8 პროცენტით და სასტუმროები და რესტორნები 7.5 პროცენტით. (კანონპროექტი “ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები”, 2018: 9)

რაც შეეხება სხვა ძირითად ეკონომიკურ ტენდენციებს, აღსანიშნავია :

✓ კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში.

2018 წლის პირველ ნახევარში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 19.2

პროცენტით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 14.2

პროცენტით გაიზარდა. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილია

25.2 ათასი ადამიანით.

✓ უმუშევრობის დონე

2018 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2017 წელთან შედარებით 1.2

პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.7 პროცენტი შეადგინა. უნდა აღინიშნოს,

რომ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია

ფიქსირდება, ამასთან უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში აღნიშნული

მაჩვენებელი 2018 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს აღწევს.

გამოკვლევის შედეგების ანალიზი ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2018 წელს

უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე კვლავ 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში


ფიქსირდება (30.8 პროცენტი), ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი ტრადიციულად

ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში, რომლის უმთავრეს მიზეზს

წარმოადგენს შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში არააქტიურობის დონის შედარებით

მაღალი მაჩვენებელი.

გრაფიკი 3.7



ამასთან აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონე ნიშნავს რესურსების მხოლოდ ნაწილობრივ გამოყენებას და ქვეყნის მოსახლეობის დაბალ შემოსავლებს, რაც იწვევს სოციალური პრობლემების გამწვავებასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესებას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ დღეისათვის ქვეყნის ეკონომიკაში არსებული დადებითი ძვრების მიუხედავად, დასაქმების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება, კვლავ რჩება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სფეროს ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ და მოუგვარებელ პრობლემად. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmebada-umushevroba>)

✓ ფასები

2019 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1,3 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 2,2 პროცენტი შეადგინა. წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

**სურსათი და უალკოჰოლო სასმელები:** ჯგუფში ფასები გაიზარდა 3,2 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 1,0 პროცენტული პუნქტით აისახა

**ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო:** ფასები გაიზარდა 10,1 პროცენტით, რაც 0,66 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე.

**ჯანმრთელობის დაცვა:** ფასები მომატებულია 3,4 პროცენტით, რაც 0,28 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში.

**ტრანსპორტი:** ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 1,7 პროცენტის მატება, რაც წლიურ ინფლაციაზე 0,22 პროცენტული პუნქტით აისახა.

(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://www.geostat.ge/ka/single-news/1212/inflatsia-sakartveloshi-2019-tslis-ianvari>)

#### ✓ ინფლაცია

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს ქვეყანაში ინფლაციის წლიური მაჩვენებლის სიდიდე და მისი დინამიკა წარმოადგენს. ინფლაცია, თავისი არსიდან გამომდინარე, საქონელზე ფასების ზრდითა და ფულის მსყიდველობით უნარიანობის დაცემით, იწვევს მოსახლეობის რეალური ფულადი შემოსავლების მკვეთრ შემცირებას და მათი სოციალური მდგომარეობის გაუარესებას. გარდა ამისა, ინფლაცია სხვადასხვა სიმძიმით აისახება საზოგადოების განსხვავებულ სოციალურ ფენებზე, როგორც წესი იგი ყველაზე მტკივნეულად საზოგადოების ღარიბი და ფიქსირებული შემოსავლის მქონე ჯგუფებზე ზემოქმედებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკას, რაც ითვალისწინებს ეკონომიკის განვითარებისათვის არსებული დონისათვის ოპტიმალური ინფლაციის განსაზღვრას და მის მიღწევას. 2018-2019 წლებისათვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3 პროცენტს შეადგენს. 2019-2022 ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი 3.0 პროცენტის დონეზეა.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტრატეგია 2019-2021 წლებისათვის განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებით "საქართველოს 2019-2021 წლების

ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ",  
კერძოდ: საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის  
შენარჩუნების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2019-2021 წლების  
განმავლობაში ძირითადად გამოყენებული იქნება პოლიტიკის განაკვეთი, რომლის  
ცვლილება ეკონომიკას გადაეცემა მონეტარული პოლიტიკის შემდეგი  
ინსტრუმენტებით: რეფინანსირების სესხები, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი;  
მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები, სადეპოზიტო სერტიფიკატები, ოპერაციები  
მთავრობის ფასიანი ქაღალდებით, სავალუტო ინტერვენციები, მინიმალური  
სარეზერვო მოთხოვნები და სხვა ინსტრუმენტები.

2019-2021 წლების განმავლობაში სამომხმარებლო ფასების მოსალოდნელ დინამიკაზე  
გარეგანი ფაქტორებიდან მოქმედი შესაძლო რისკებია ნავთობსა და საკვებზე მსოფლიო  
ფასების ცვლილება, გეოპოლიტიკური რისკების ცვლილება, რეგულირებადი ფასების  
ცვლილება, ინფლაციის იმპორტი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან და სხვა  
საქართველოს ეროვნული ბანკის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს  
ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა. საქართველოს ეროვნულმა  
ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და  
ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას. (საქართველოს  
ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=327>)

#### ✓ საგარეო სექტორი

2018 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 8  
100.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს  
22.6 პროცენტით აღემატება; აქედან ექსპორტი 2 146.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს,  
ხოლო იმპორტი 5 954.3 მლნ. აშშ დოლარს. საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო  
პარტნიორებს შორის პირველი ადგილი ევროკავშირს უკავია. ექსპორტში 21,2  
პროცენტით პირველ ადგილზე ევროკავშირია (455,8 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ მოდიან  
13.9 პროცენტით აზერბაიჯანი (298,9 მლნ აშშ დოლარი), რუსეთი 13.1 პროცენტით  
(280,6 მლნ აშშ დოლარი), თურქეთი 8.5 პროცენტით (182,4 მლნ აშშ დოლარი) და  
სომხეთი 8.2 პროცენტით (177,0 მლნ აშშ დოლარი).

იმპორტში პირველი ადგილი ევროკავშირს უჭირავს 29,4 პროცენტით (1 751,0 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ მოდიან თურქეთი 15.8 პროცენტით (939,3 მლნ აშშ დოლარი), რუსეთი 10.1 პროცენტით (599,2 მლნ აშშ დოლარი), ჩინეთი 9.8 პროცენტით (582,5 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანი 6.2 პროცენტით (367,9 მლნ აშშ დოლარი) და ა.შ

#### ✓ ფულადი გზავნილები

2018 წლის იანვარ-აგვისტოში წმინდა ფულადი გზავნილები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18.4 პროცენტით გაიზარდა და 876.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (136.2 მლნ აშშ დოლარით მეტი). წმინდა ფულადი გზავნილები გაზრდილია იტალიიდან 37.3 პროცენტით და 119.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (32.3 მლნ აშშ დოლარით მეტი), ისრაელიდან - 40.5 პროცენტით და 97.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (28.2 მლნ აშშ დოლარით მეტი), საბერძნეთიდან - 25.1 პროცენტით და 102.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (20.6 მლნ აშშ დოლარით მეტი).

#### ✓ ტურიზმი

2018 წლის იანვარ-აგვისტოში, საქართველოს 5 684 ათასი ვიზიტორი ეწვია (2017 წლის 8 თვის მონაცემებით, ვიზიტორების რაოდენობა 5 059 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს 12.3 პროცენტით აღემატება. ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 232.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 22.2 პროცენტით (405.4 მლნ აშშ დოლარით მეტი) აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.


(კანონპროექტი“ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები,2018: 236)

### 3.4 ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალის დინამიკა საქართველოში

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული მოცულობის განსაზღვრა წარმოადგენს. თავად სიტყვა დეფიციტი ლათინური წარმოშობისაა- „deficit“ და იგულისხმება ნაკლებობა, დანაკლისი, დროის განსაზღვრულ პერიოდში ხარჯების შემოსავლებზე მეტობა.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა წარმოადგენს ბიუჯეტის საოპერაციო სალდოს, ხოლო ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა ბიუჯეტის მთლიანი სალდოს. დადებითი მთლიანი სალდო არის ბიუჯეტის პროფიციტი, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო ბიუჯეტის დეფიციტი.

ცხრილი 3.8



ცხრილში ნაჩვენებია ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ფაქტობრივი და პროგნოზირებული მაჩვენებლები და მათი წილი მშპ-ს თან მიმართებაში.

2018 წელს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ -324.9 მლნ ლარი, დეფიციტის მაჩვენებელმა კი 0.79% შეადგინა. რაც შეეხება სტრუქტურას, დეფიციტის ფორმირების

ძირითად წყაროს წარმოადგენდა არაფინანსური აქტივების ცვლილების უარყოფითი მაჩვენებელი, დაფინანსების წყაროს კი დადებითი საოპერაციო სალდო. საბოლოოდ, ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება მოხდა ვალდებულებების წმინდა ზრდით, რომელმაც წლის განმავლობაში 1,114 მლნ ლარი შეადგინა. 2018 წლის ბოლოს, სახელმწიფო ვალის ნაშთი ნომინალურ გამოსახულებაში 18,468 მლნ ლარსა და მშპ-ის 42.2%-ს გაუტოლდა.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით, ერთიანი ბიუჯეტის ბალანსი -942 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც მშპ-ის 2.1%-ს შეადგენს და აკმაყოფილებს ორგანული კანონით დადგენილ 3.0%- იან ლიმიტს. თუმცა, 2019 წლის პროგნოზის 2018 წლის გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილი მაჩვენებელი განპირობებულია კაპიტალური დანახარჯების ზრდით. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, 2019-2022 წლებში მოსალოდნელია ბიუჯეტის დეფიციტის თანმიმდევრულ შემცირება.

2019 წელს ბიუჯეტში შევიდა ცვლილება ბიუჯეტის ბალანსის წესთან დაკავშირებით. კერძოდ,

- ✓ **ბიუჯეტის ბალანსის წესი** გულისხმობს, რომ ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ 3.0%-ს.
- ✓ **ვალის წესი** - საქართველოს მთავრობის ვალის ფარდობა მშპ-სთან ნაკლები უნდა იყოს 60.0%-ზე . ორგანული კანონის ცვლილების პროექტის მიხედვით, ვალის წესის გამოთვლისას სახელმწიფო ვალის ნაშთის ნაცვლად მოხდება მთავრობის ვალის მაჩვენებლის გამოყენება, რომლის ფარდობა მშპ-სთან არ უნდა აღემატებოდეს 60%-იან ნიშნულს.

რაც შეეხება ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ დეფიციტის დაფინანსების სხვადასხვა მეთოდებს:

1. ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებას საგადასახადო განაკვეთების გაზრდით;
2. ფულის დამატებითი რაოდენობით დაბეჭდვით (ფულის ემისიით);
3. სახელმწიფოს მიერ სესხის აღებით (როგორც საშინაო ასევე საგარეო);

#### 4. ხარჯების შემცირებით

ზემოაღნიშნული მეთოდებიდან ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება - სახელმწიფო ვალის აღებით და ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირებით.

საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაზე საუბრისას, არ შეიძლება არ შევხვით სახელმწიფო ვალის დინამიკას.


საქართველოს მთავრობა ფინანსურ რესურსებს იზიდავს ორმხრივი და მრავალმხრივი კრედიტორებისაგან და ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივი ბაზრებიდან ფასიანი ქაღალდების გამოშვებით. მთავრობის მიერ ფინანსური რესურსების მოზიდვა ხდება ინფრასტრუქტურული კაპიტალური დანიშნულების პროექტებისათვის და მთავრობის მიერ დაგეგმილი რეფორმების მხარდაჭერის მიზნით

მთავრობის ვალის პორტფელში მნიშვნელოვანი წილი (81.3%) უჭირავს საგარეო ვალს. საგარეო ვალის დიდი ნაწილი - 88.1% არის კრედიტორებისგან მოზიდული სესხები, უმეტესად შეღავათიანი პირობებით. იმისათვის, რომ შემცირდეს მთავრობის ვალის პორტფელის სავალუტო რისკთან დაკავშირებული მოწყვლადობა, 2021 წლისთვის დაგეგმილია მთავრობის ვალში საშინაო ვალის წილმა შეადგინოს სულ მცირე 20%, ხოლო გრძელვადიან პერიოდში, ეტაპობრივად გაიზარდოს 35%-მდე.

2018 წლის ბოლოს მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის ვალის პროცენტული ფარდობა მშპ-თან მიმართებაში შეადგინა 42.1%, მათ შორის 34.2% იყო საგარეო ვალი.

თუმცა 2019 წელს პროგნოზის მიხედვით, სახელმწიფო ვალის შეფარდების მაჩვენებელი განისაზღვრა 45,2%-ით. მაგრამ 2020 წლისთვის დაგეგმილია ამ პროცენტული მაჩვენებლის შემცირება 40%-მდე.

( სახელმწიფო აუდიტის მოხსენება საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ : 9 )



ცხრილი 3.8

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საშინაო ვალდებულებების მოსალოდნელ კლებას 1,240,000.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას - 1,200,000.0 ათასი ლარის ოდენობით და სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) – 40,000.0 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით განსაზღვრული საგარეო და საშინაო ვალის პარამეტრები უზრუნველყოფენ სახელმწიფო ვალის მდგრადობის შენარჩუნებას საშუალოვადიან პერიოდში.

**2019 წლისათვის განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა არაუმეტეს 19 715.8 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის, სახელმწიფო საგარეო ვალისა – 15 315.8 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალისა – 4 400.0 მლნ ლარის ოდენობით**

საინტერესოა განვიხილოთ საგარეო ვალის მოცულობის საპროგნოზო მაჩვენებელი 2019 წლის ბოლოსათვის. კრედიტორების რიცხვში შედის მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და სხვა. მათ

შორის მოსალოდნელი ვალის მოცულობა ყველაზე მეტია მსოფლიო ბანკისგან და შეადგენს 5,182,417 ლარს. (ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ვალის შესახებ ინფორმაცია)

ამ საპროგნოზო ზღვრული მოცულობის გაანგარიშების დროს გამოყენებულია კურსი: 1 \$=2.63 ლარი.

კრედიტორი		საპროგნოზო ნაშთი 31.12.2019
		ათასი ლარი
<b>სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს გარანტიით აღებული საგარეო ვალის ზღვრული მოცულობა</b>		<b>15,315,760</b>
<b>მრავალმხრივი კრედიტორებისაგან</b>		<b>10,751,011</b>
1	მსოფლიო ბანკი (WB)	5,182,417
2	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	87,140
3	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	413,450
4	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	3,361,880
5	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	1,456,682
6	ევროკავშირი (EU)	177,588
7	ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	1,500
8	აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)	67,355
9	გარემოს დაცვის სკანდინავიური საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	3,000

ცხრილი 3.9

2018 წლის ბოლოს მდგომარეობით მთავრობის საგარეო და საშინაო ვალზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთების განაწილება სხვადასხვა ტიპის სესხებზე შემდეგნაირად გამოიყურება: კრედიტორებისგან მოზიდულ სესხები - 1.4%; საგარეო ისტორიული ვალი - 3.5%; ევრობონდი - 6.9% და საშინაო ვალი - 8.3%.

ბოლო საშინაო ვალის სტრუქტურა გამოიყურება შემდეგნაირად:

69.3 %- სახაზინო ობლიგაციები, 17,3 % სახაზინო ვალდებულებები, 13,3%-სახელმწიფო ობლიგაციები.

მთავრობის ვალის 81.3% დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ლარის უცხოური ვალუტების მიმართ გაუფასურებას ექნება უარყოფითი გავლენა მთავრობის ვალის მნიშვნელოვან ნაწილზე. აქედან გამომდინარე, რისკების შემცირების მიზნით საჭიროა მთავრობის ვალის პორტფელის დაბალანსება, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების წილის ზრდის მეშვეობით. ბოლო წლების განმავლობაში იზრდება ასევე ევროში სესხების წილი, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1.საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობა სულ უფრო იზრდება ევროზონის ქვეყნებთან, რაც იმას ნიშნავს რომ მთავრობისთვის სესხის ევროში ქონა ბუნებრივად უფრო დაზღვეული ხდება სავალუტო რისკისგან.

2.საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური ურთიერთობა ევროპასთან არის საკმაოდ მაღალი, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპის ეკონომიკური ციკლი არაპირდაპირი გზითაც დაკავშირებულია საქართველოს ეკონომიკასთან და ეს კიდევ უფრო მეტად ამყარებს სესხების ევროში აღების არგუმენტს.

3.ევროს და აშშ დოლარის ლართან ნომინალური გაცვლითი კურსის მერყეობის ერთმანეთთან შედარებისას, შევნიშნავთ, რომ საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისთვის ევრო აშშ დოლართან შედარებით უფრო სტაბილური ვალუტაა და საგარეო სესხის აღების დროს ევროს ანიჭებენ უპირატესობას.

საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შემდგომი სრულყოფისათვის, მართებულად მიგვაჩნია, ქვეყნის საგადასახადო სისტემის აგებისას

გათვალისწინებული იქნეს საზღვარგარეთის გამოცდილებისა და ქართული, ეროვნული ეკონომიკის თავისებურებები.

დღეისათვის საქართველოში მიმდინარე საგადასახადო რეფორმის მთავარი მიზანი უნდა იყოს, გადასახადების მასტიმულირებელ და ფისკალურ ფუნქციებს შორის რაციონალური თანაფარდობის მიღწევა. ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა ხელისუფლებამ შეძლოს ისეთი საგადასახადო სტრატეგიის შემუშავება, რომლის ძირითადი მიზანიც იქნება ქვეყანაში:

1. ეკონომიკური ზრდა;
2. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება;
3. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირება.

(მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2019-2021 წლისთვის, 2019:17)

### 3.5 საჯარო ფინანსების ხარჯების ეკონომიკური შინაარსი

საჯარო ფინანსების სრულყოფილი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მობილიზებული ფინანსური რესურსები ეფექტიანად გამოიყენება. საჯარო ფინანსებში აკუმულირებული რესურსები იმ დანახარჯებს ფარავს, რომელთა გარეშე სახელმწიფოს არსებობა არ შეუძლია. საჯარო ფინანსების ხარჯების ეკონომიკური არსი სხვადასხვა სახით ვლინდება. ხარჯების თითოეული სახე ხასიათდება სარისხობრივი და რაოდენობრივი თავისებურებებით. საჯარო ფინანსების ხარჯების კონკრეტული სახეები მთელი რიგი ფაქტორებით განისაზღვრება, კერძოდ, სახელმწიფოს ფუნქციებითა და ბუნებით, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, ეროვნულ მეურნეობასთან ბიუჯეტის კავშირურთიერთობით, სახელმწიფო საწარმოებთან ბიუჯეტის ურთიერთობით და სხვა. საზოგადოების

ეკონომიკურ ცხოვრებაში ბიუჯეტის ხარჯების როლისა და მნიშვნელობის ცხადყოფის მიზნით ახდენენ მათ კლასიფიკაციას განსაზღვრული ნიშნების მიხედვით. თეორიასა და პრაქტიკაში ბიუჯეტის ხარჯების კლასიფიკაცია რამდენიმე ნიშნის მიხედვით წარმოებს.

ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ამ შემთხვევაში, როგორც ვიცით, გამოყოფენ მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებს. მიმდინარე ხარჯები ბიუჯეტის ხარჯების ნაწილს წარმოადგენს, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმდინარე ფუნქციონირებას, ასევე სხვა ბიუჯეტებისა და ეკონომიკის ცალკეული დარგებისთვის დოტაციების, სუბსიდიებისა და სუბვენციების ფორმით სახელმწიფო დახმარების გაწევას უზრუნველყოფს.

**ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯები** სახელმწიფოს ფულადი დანახარჯებია, რომლებიც დაკავშირებულია ინოვაციური და ინვესტიციური საქმიანობის დაფინანსებასთან. იგი მოიცავს მოქმედი და ახლადშექმნილი იურიდიული პირების ინვესტირებისთვის განკუთვნილ ხარჯებს, იურიდიული პირებისთვის კრედიტის სახით ინვესტირების მიზნით განკუთვნილ ხარჯებს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხარჯების **ფუნქციონალურ კლასიფიკაციას**, რომელიც გამოხატავს საზოგადოებრივი საქმიანობის იმ სფეროებს, საითაც მიიმართება ფულადი სახსრები.

**უწყებრივი კლასიფიკაცია** საშუალებებს იძლევა გამოიყოს შესაბამისი სამინისტროები, სხვა სახელმწიფო დაწესებულებები ან იურუდიული პირები, რომლებიც იღებენ საბიუჯეტო ასიგნებებს.

**მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით ხარჯების კლასიფიკაცია** გულისხმობს დანახარჯების განაწილებას კონკრეტული სახეების მიხედვით. იგი ქმნის საბიუჯეტო სახსრების რაციონალური გამოყენების წინამძღვრებებს.

**ხარჯების ტერიტორიული კლასიფიკაცია.** სახელმწიფო მართვის დონეების შესაბამისად, ფედერაციული მოწყობის ქვეყნებში ბიუჯეტის ხარჯები იყოფა სახელმწიფო ბიუჯეტის, ფედერალური ბიუჯეტის, ფედერაციის წევრების და

ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯებად, უნიტარულ სახელმწიფოებში კი- სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებად.

### **საბიუჯეტო დაფინანსება.**

ბიუჯეტის ხარჯების გაცემა ხორციელდება საბიუჯეტო დაფინანსების მეშვეობით, ანუ ესაა ფულადი სახსრების გადაცემა ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესასრულებლად.

საბიუჯეტო დაფინანსების პრინციპები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჯარო ფინანსების რაციონალური სისტემის ჩამოყალიბების საქმეში . მათ მიეკუთვნება:

1.დანახარჯების მინიმიზაციით მაქსიმალური ეფექტის მიღება . საბიუჯეტო სახსრები უნდა გაიცეს მხოლოდ ეფექტიანი ღონისძიებების დასაფინანსებლად. ეს ეფექტი შეიძლება გამოიხატოს, ერთი მხრივ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ამოცანების გადაჭრაში, მეორე მხრივ, საბიუჯეტო ასიგნებების მიმღებთა ფულადი შემოსავლების ზრდის ხარჯზე სახსრების ბიუჯეტში უკუნაკადში.

2.საბიუჯეტო ასიგნებების გამოყენების მიზნობრივი ხასიათი. იურიდიული პირები ბიუჯეტიდან სახსრებს იღებენ მხოლოდ დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე.

3.საბიუჯეტო სახსრების გაცემა საწარმოო და სხვა მაჩვენებლის შესრულების ღონისძიებებისთვის და ადრე გაცემული ასიგნებების გამოყენების გათვალისწინებით.

4.საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებადობა. სახსრების გაცემა უპირობოდ მათი აუცილებელი დაბრუნებით სახელმწიფო ბიუჯეტში

5.საბიუჯეტო ასიგნებების არაფასიანობა. საბიუჯეტო სახსრების სახელმწიფოსთვის რაიმე სახის სარგებლის-პროცენტის ან სხვა სახით, გადახდის გარეშე.

საბიუჯეტო დაფინანსების ფორმები და მეთოდები. საბიუჯეტო ასიგნებების პრაქტიკაში გამოიყენება საბიუჯეტო დაფინანსების ორი მეთოდი.

- დაფინანსება „ნეტო-ბიუჯეტის“ სისტემის მიხედვით.ფულადი სახსრების გაცემის ეს მეთოდი ხასიათდება იმით, რომ საბიუჯეტო ასიგნებები გამოიყოფა დანახარჯების საკმაოდ შეზღუდულ წრეზე, რომელიც გათვალისწინებულია დამკვიცებული ბიუჯეტით.
- დაფინანსება „ბრუტო-ბიუჯეტის“ სისტემით გამოიყენება საწარმოებისა და ორგანიზაციებისთვის , რომლებიც მთლიანად საბიუჯეტო დაფინანსებაზეა.

სახსრების გაცემის დასახელებული მეთოდები ხორციელდება საბიუჯეტო დაფინანსების შემდეგი ფორმებით:

1. საბიუჯეტო დაწესებულებების შენახვაზე ასიგნებებით
2. ტრანსფერტებით მოსახლეობაზე
3. დოტაციებით, სუბვენციებით და სუბსიდიებით ქვემდგომი ბიუჯეტისთვის და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდებისთვის.
4. ინვესტიციებით საწესდებო კაპიტალში მოქმედი ან ახლად შექმნილი იურიდიული პირებისთვის.

საბიუჯეტო სახსრების ძირითადი ნაწილი გამოიყოფა ეროვნული მეურნეობის პრიორიტეტული დარგების დასაფინანსებლად, რომელსაც მიეკუთვნება სამთომომპოვებელი მრეწველობა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი.

სოციალური ხარჯები განკუთვნილია სახელმწიფოს მიერ სოციალური ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად. ეს ხარჯები იყოფა შემდეგ ძირითად ჯუფებად:

- განათლება
- კულტურა, ხელოვნება და კინემატოგრაფია
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები
- ჯანდაცვა და ფიზიკური კულტურა
- სოციალური დაცვა

სოციალურ საჭიროებებზე ხარჯების დაფინანსება წარმოებს კონკრეტული ღონისძიებებისა და სახეების დანახარჯების მიხედვით.

### ***საბიუჯეტო ნორმები.***

დაწესებულებას არ აქვს უფლება გამოიყენოს ფულადი სახსრები ისეთი მიზნებისთვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვაში.

ხარჯთაღრიცხვა მოიცავს შემდეგ დანახარჯებს:

- მუშათა შრომის ანაზღაურება
- ანარიცხები (შენატანები) სახელმწიფო ბიუჯეტგარეშე ფონდებში

- მოსახლეობისთვის განკუთვნილ ტრანსფერტებს, პენსიებს, დახმარებებს და ა.შ.
- მუშაკების სამივლინებო და სხვა კომპენსაციურ გადასახდელებს

ამ ხარჯების დაფინანსება წარმოებს ნორმების მიხედვით „კერძოდ“:

1. ნორმები, რომლებიც მატერიალური ფასეულობის გამოყენების ნატურალურ მაჩვენებლებზეა დაფუძნებული (კვებაზე, მედიკამენტების შეძენაზე და სხვა ნორმები)
2. განზოგადებული ინდივიდუალური გადახდები - ხელფასი, პენსია, სტიპენდია, სამივლინებო.

სირთულის მიხედვით ნორმები იყოფა მარტივ და კომბინირებულ ანუ გამსხვილებულ, ხარჯების სახეების ერთობლიობად. ეს უკანასკნელი ქმნის მუხლს, რომელიც ერთიანებს რამდენიმე მონათესავე მუხლს ან დაწესებულების ყველა ხარჯებს. თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ხარჯების გამსხვილებული ნორმები, რომლებიც სოციალური სფეროს დაწესებულების ყველა სახის ხარჯს მოიცავს. საბიუჯეტო ნორმები სისტემურ ცვლილებას განიცდის. ნორმების გაზრდა დაკავშირებულია ფასებისა და ტარიფების ცვლილებებთან, ერვონულ მეურნეობაში ხელფასის ზრდასთან, ადგილობრივ ბიუჯეტებში დამატებითი დაფინანსების წარმოქმნასთან და სხვ.

ხარჯთაღრიცხვა საბიუჯეტო დაწესებულებების ფინანსურ გეგმაში გათვალისწინებულია:

1. სოციალურ საჭიროებებზე ხარჯების წილი ბიუჯეტიდან ფინანსდება.
2. ბიუჯეტის ხარჯების დამოუკიდებელ ჯგუფად გამოიყოფა მეცნიერების დაფინანსება. ბიუჯეტიდან სახსრები მიემართება ფუნდამენტურ თეორიულ კვლევებზე და საერთო-სახელმწიფოებრივ მიზნობრივ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებზე.
3. სამეცნიერო დაწესებულებების დაფინანსება ხარჯთაღრიცხვის წესით ხორციელდება. ყველა ორგანიზაციაში დგება ხარჯების ნუსხა ყოველი კონკრეტული თემის მიხედვით.
4. სახელმწიფოს ფუნქციებიდან გამომდინარეობს ხარჯები თავდაცვაზე. თავდაცვაზე ხარჯების საერთო სიდიდე და დონე დამოკიდებულია სხვადასხვა შიდა და გარე ფაქტორებზე: საერთაშორისო მდგომარეობაზე, საზღვრების ხასიათსა და გადაჭიმულობაზე, რომელიც განპირობებულია ქვეყნის ტერიტორიის მიხედვით.

მართალია, თავდაცვაზე ხარჯები აუცილებელ ხარჯებად ითვლება, მაგრამ იგი არამწარმოებლურ ხასიათს ატარებს და ამიტომ სახელმწიფო ესწრაფვის შექმნას სამშვიდობო საგარეო პოლიტიკისთვის ისეთი პირობები, როდესაც იქნება შესაძლებლობა შემცირდეს სამხედრო ხარჯები.

ბიუჯეტის მიერ გათვალისწინებული ხარჯები ეროვნულ თავდაცვაზე მოიცავს ძირითადად პირდაპირ სამხედრო ხარჯებს, რომლებიც ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს მეშვეობით გადის. მათ შემადგენლობაში შედის ხარჯები არმიისა და ფლოტის შენახვაზე, შეირაღებასა და სამხედრო ტექნიკის შექმნაზე ხარჯები.

პირდაპირი სამხედრო ხარჯების ნაწილის დაფინანსება წარმოებს ბიუჯეტის ხარჯების სხვა ქვედანაყოფებიდან. ასე, მაგალითად, შინაგანი და სასაზღვრო ჯარების, უშიშროების ორგანოების შენახვა ფინანსდება სამართალდამცავი საქმიანობის და სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფიდან.

არაპირდაპირი სამხედრო ხარჯები ძირითადად მოიცავს შეიარაღებული ძალების ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარებებსა და პენსიებს.

5. მმართველობის ხარჯები მოიცავს :

- სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლოების და პროკურატურის ორგანოების შენახვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ხარჯებს
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების შენახვაზე ხარჯებს
- არჩევნებისა და რეფერენდუმების ჩატარებაზე ხარჯებს

საქართველოში ბიუჯეტის ხარჯებს გააჩნია არსებითი ნაკლოვანებები:

დაბალია საბიუჯეტო სახსრებს გამოყენების ეფექტიანობა, ფართოდაა გავრცელებული სახსრების არამიზნობრივი გახარჯვის პრაქტიკა, არაპროპორციულია ხარჯების ცალკეული მიმართულებების დაფინანსება შემოსავლების მიხედვით გეგმის შეუსრულებლობის პირობებში.

საქართველოში ბიუჯეტის ხარჯების ეფექტიანი სისტემის უზრუნველსაყოფად აუცილებელია:

- სოციალური ხარჯების დაფინანსების პრიორიტეტულობის უზრუნველყოფა, მოსახლეობის მიმართ არსებული დავალიანების შემცირება და სრული დაფარვა
- ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებში ინვესტიციების სახელმწიფო დაფინანსების გაფართოება
- სახელმწიფო აპარატის შენახვისა და სახელმწიფო ვალის მართვის ხარჯების შემცირება
- ცალკეული დარგების დანაკარგების დაფარვაზე დოტაციების შემცირება
- ცალკეული მიზნობრივი ხარჯების და მიზნობრივი პროგრამების ხარჯების შემცირება. ( რ.კაკულია, 2009: 267-275)

#### 4. საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო განაკვეთების შედარებითი ანალიზი

დღეს საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს, ქვეყანაში საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაცია და მთლიანობაში საგადასახადო სისტემის სრულყოფა წარმოადგენს.

ქვეყნების შედარება შესაძლებელია ცალკეული გადასახადების განაკვეთების მიხედვითაც. ზოგიერთ ქვეყანაში ნულოვანი მოგების გადასახადია, მაგალითად: ბაჰამა, ბაჰრეინი, კუვეიტი. შეგვიძლია განვიხილოთ და გავანალიზოთ მსოფლიო სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები.

საქართველოსაგან განსხვავებით ზოგიერთ ქვეყანაში, როგორცაა, თურქეთში, ირანში, საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისსა და გერმანიაში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია დასაბეგრი შემოსავლის ოდენობის მიხედვით და ატარებს პროგრესულ ხასიათს.

	საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, %
1.ბელგია	60.2
2.შვედეთი	60.1
3.ფინეთი	58.3
4.დანია	55.8
5.ავსტრია	55
6.ნიდერლანდები	51.75
7.ლუქსემბურგი	48.7
8.ირლანდია	48
9.გერმანია	45
10.დიდი ბრიტანეთი	45

ცხრილი 4.1

(Trading economics, <https://tradingeconomics.com/country-list/personal-income-tax-rate?continent=europe>)

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთია დაწესებული ბელგიაში, მაგრამ ამავდროულად საშუალო ხელფასი ქვეყანაში 48000 ლარია წელიწადში. დანიაში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი სხვა ქვეყნებთან შედარებით ასევე მაღალია. თუმცა ამ გადასახადებით მობილიზებული შემოსულობებით მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს რომ ისარგებლოს ჯანდაცვის პროგრამებით, მიიღოს კარგი განათლება და უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა.

ირლანდიასა და შვეიცარიაში ასევე მაღალია საშემოსავლო გადასახადი, თუმცა ამ ქვეყნებს ახასიათებს ცხოვრების ძალიან მაღალი დონე. იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობა მცირე გადასახადებს არ იხდის, მათ აქვთ საპენსიო ფონდის თანხები,

რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში. შესაბამისად, ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა.

როგორც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც საგადასახადო განაკვეთები დიფერენცირებულია. მაგალითისთვის, აშშ-ში საგადასახადო განაკვეთები მერყეობს 10-39,6%-მდე, მიღებული შემოსავლის მიხედვით. ყველაზე დაბალ გადასახადებს იხდიან ის მოქალაქეები, რომელთაც წლიური შემოსავალი შეადგენს 9,2 ათას დოლარზე ნაკლებია. ყველაზე მაღალი გადასახადებია დაწესებულია იმათთვის, ვისი შემოსავალი წელიწადში აღემატება 418 ათას დოლარს. გარდა ამისა, საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას, დიფერენცირებული განაკვეთებით იბეგრება, დასაბეგრი შემოსავალი ოჯახურ წყვილთა და დასაოჯახებელ სუბიექტთა შემოსავლების მიხედვით მაგ: საფრანგეთში.

ზოგიერთ ქვეყანაში, განსაზღვრულია იმ მინიმალური შემოსავლის ოდენობაც (დაუბეგრავი მინიმუმი), რომელიც თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან. მაგალითად, საფრანგეთში საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი მინიმალური შემოსავალი შეადგენს 6 011 ევრო წელიწადში. ხოლო გადასახადის მაქსიმალურ 75%-ს იხდიან ოჯახურ შემოსავალზე 1 მლნ ლარის ოდენობით.

გარდა დაუბეგრავი მინიმუმისა, საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას, დიფერენცირებული განაკვეთებით იბეგრება, დასაბეგრი შემოსავალი ოჯახურ წყვილთა და დასაოჯახებელ სუბიექტთა შემოსავლების მიხედვით მაგ: საფრანგეთში.

(Investopedia, <https://www.investopedia.com/taxes/countries-highest-income-taxes/>)

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში დღეისათვის საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის ოდენობის მკვეთრი დიფერენცირებულობის გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განხორციელდეს საგადასახადო განაკვეთის დიფერენცირება დასაბეგრი შემოსავლის ოდენობის მიხედვით, ხოლო დაბეგრის მეთოდად შერჩეული იქნეს პროგრესული, კერძოდ, რთული პროგრესული მეთოდით დაბეგვრა.

გარდა ამისა, საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნების მიდგომა მოგების და დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთებთან მიმართებაში. ევროპის ისეთ ქვეყნებთან შედარებით, როგორცაა გერმანია - 29.79%, საფრანგეთი - 33.3%, იტალია-24%, ყველაზე დაბალი განაკვეთი მოქმედებს საქართველოში. (Trading economics, <https://tradingeconomics.com/country-list/corporate-tax-rate>)

რაც შეეხება დღგ გადასახადს, ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში დღგ გადასახადის შედარებით მცირე განაკვეთია -18%.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში შემცირების ტენდენციით ხასიათდება ისეთი მნიშვნელოვანი გადასახადის განაკვეთი, როგორცაა დღგ, რაზეც მეტყველებს 2005 წლის 1 ივლისიდან ამ გადასახადის განაკვეთის 20 პროცენტიდან 18 პროცენტამდე შემცირების ფაქტი. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლებამ კვლავ უნდა გააგრძელოს მუშაობა ამ მიმართულებით, რათა მომავალშიც მოახდინოს აღნიშნული გადასახადის განაკვეთის 15 %-მდე ეტაპობრივი შემცირება.

საანალიზოდ წარმოდგენილი ქვეყნებიდან (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, ირანი, რუსეთი, იტალია, საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია) მოგების გადასახადის ყველაზე დაბალი განაკვეთი მოქმედებს საქართველოში (საქართველოში, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება საწარმოს დასაბეგრი მოგების 15 %-ით) . რაც შეეხება სხვა ქვეყნებში მოქმედ განაკვეთებს, ესენია: გერმანია-26.95%, საფრანგეთი- 15-31%, იტალია-27.9 %, ინგლისი- 19% და სხვა

ამ ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ წლების განმავლობაში ქვეყნის საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, საქართველოს საგადასახადო სისტემა მაინც სრულად ვერ უზრუნველყოფს, საგადასახადო სისტემის შეფასების იმ კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, რომლებიც დღეისათვის გამოიყენება ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოებისათვის, კერძოდ:

1. ეკონომიკური ეფექტიანობა;

2. მოქნილობა;

3. პოლიტიკური პასუხისმგებლობა;

4.სამართლიანობა.

ჩემი აზრით, საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის კვლავ მნიშვნელოვანი ამოცანებია გადასაწყვეტი, რომელთაგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაცია და გადასახადების მობილიზაციასთან დაკავშირებული საკითხების რაციონალურად გადაჭრა წარმოადგენს, რისი მიღწევაც შეუძლებელია ქვეყანაში ეფექტიანი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების გარეშე.

## დასკვნები და წინადადებები

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფორმირების სრულყოფის გზების ძირითადი საკითხების კვლევისა და შესწავლა-ანალიზის საფუძველზე, ჩემ მიერ შემუშავებულია შემდეგი სახის დასკვნა:

- თანამედროვე პერიოდში ქვეყანაში რაციონალური ფინანსური სისტემის ფორმირება-რეალიზება, ეკონომიკის სტაბილური განვითარება, ეფექტიანი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გატარება, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა და მთლიანობაში ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ, მისი ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანად რეალიზაციის გზით არის შესაძლებელი.
- თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის უმთავრესი მიზანი უნდა გახდეს საბიუჯეტო შემოსავლების მიღების მყარი საფუძვლების შექმნა, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად განაწილება-გადანაწილების უზრუნველყოფა და მთლიანობაში საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა, რათა საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანმა ფუნქციონირებამ საბოლოო ანგარიშით უზრუნველყოს ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანად შესრულება.
- ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში, პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის რაციონალური თანაფარდობის მიღწევა.
- მიმაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემა აგებული უნდა იქნეს საზღვარგარეთის გამოცდილებისა და ქართული, ეროვნული ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით, ამასთან დღეისათვის საქართველოში მიმდინარე საგადასახადო რეფორმის მთავარი მიზანი უნდა იყოს,

გადასახადების მასტიმულირებელ და ფისკალურ ფუნქციებს შორის რაციონალური თანაფარდობის მიღწევა.

- საქართველოში მოქმედი საბიუჯეტო კოდექსით, საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, გადადგმული დადებითი ნაბიჯების მიუხედავად, ქვეყანაში საბიუჯეტო საქმიანობის განვლილი წლების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მაინც ბოლომდე ვერ ასახავს, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებს, რის გამოც იგი კვლავ საჭიროებს შემდგომ ტრანსფორმაციასა და სრულყოფას.
- სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული ფინანსური რესურსების, ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და სფეროებს შორის ოპტიმალური გადანაწილება წარმოადგენს, რაც მიზნად ისახავს შეზღუდული ფინანსური რესურსების მაქსიმალურად რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებას.

ჩემ მიერ შემოთავაზებული წინადადებებისა და რეკომენდაციების რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები იქნება:

- ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად ქვეყანაში გაუმჯობესდება საინვესტიციო ბიზნეს გარემო;
- შეიქმნება ძლიერი და ეფექტიანი საგადასახადო სისტემა;
- ბიზნეს სექტორის მხრიდან შემცირდება საგადასახადო საჩივრების რაოდენობა;
- გაუმჯობესდება საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირების პროცესი;
- საგადასახადო შემოსავლების ხარჯზე გაიზრდება საბიუჯეტო შემოსავლები;
- ამალდება საზოგადოების საგადასახადო კულტურული დონე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ. „საგადასახადო საქმე“, გამომცემლობა „ვერჟე“, თბ. 2007.
2. ვერულიძე ვ., „გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა“, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბათუმი 2015;
3. კაკულია რ., ბახტაძე ლ., ჯიბუტი ა., „საჯარო ფინანსები“, გამომცემლობა „დარბეგი“ თბ.2009
4. კანონპროექტი“ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები“
5. კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ., „გადასახადები და დაბეგვრა“. თბ.2011
6. მესხია ი., „ბიზნესის საფუძვლები“, თბ.2011
7. მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2019-2021 წლისთვის
8. საქართველოს აუდიტის სამსახური - დასკვნა „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე.
9. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, თბ.2017
10. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“
11. საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი“
12. სახელმწიფო აუდიტის მოხსენება საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

## ინტერნეტ წყაროები

13. ბიუჯეტის მონიტორი- <https://budgetmonitor.ge/>
14. შემოსავლების სამსახური- <http://www.rs.ge/>
15. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- <https://mof.ge/>
16. სახელმწიფო აუდიტის სამსახური - <https://sao.ge/>

- 17.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <https://www.geostat.ge/ka>
- 18.საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/>
- 19.საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო <https://www.transparency.ge>
- 20.საქართველოს პარლამენტი <http://www.parliament.ge/>
- 21.Trading Economics <https://tradingeconomics.com/>
- 22.Investopedia <https://www.investopedia.com>